# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 30 აგვისტო 2003 №163 (1934) ფასი 50 თეთრი




# 300 000 $

## გიორგი ლომაიას ტრანსფერი ეღირსა

საქართველოს ნაკრების მეკარე სამი წლით სპარტაკელია



# CALCIO სერია კაზეზისთვის




დილით ცოლმა გაგაბრაზათ? შემოგვიერთდით, იტალია იწყებს!

# კახა კალაძე:

## ევროპის სუპერთასი უთამაშებლად ჩემპიონთა თასის მერე შევჩენკოს გოლით



# და ესპანეთი?!

## სიურრეალიზმი:

რაული, ფიგუ, ზიდანი, რონალდო, რობერტო კარლოსი და ბექემი

## გახსოვდეს ბარსა:

# რონალდინიო



საქართველოს უმაღლესი ლიგის 15 ჩემპიონატი
პირველი ეტაპი

## 6 ტური
ანონსი

თბილისი. 31 აგვისტო. 18 საათი. ლოკომოტივი

### სპარტაკი — მცხეთა

მსაჯები: გ. ასკაროღლი (ქარელი); ნ. რუსიშვილი (ქუთაისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ა. მეშკოვი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში; დირექტორი: ნ. კაკულია

ბათუმი. 31 აგვისტო. 18 საათი. დინამო

### ბათუმი — თბილისი

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ჭელიძე; დირექტორი: რ. ლორთქიფანიძე

თბილისი. 31 აგვისტო. 20 საათი. ეროვნული

### დინამო — მერცხალი

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); კ. თბილელი (თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); ლ. ფანიაშვილი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე; დირექტორი: რ. შოთაძე

ქუთაისი. 31 აგვისტო. 18 საათი. ტორპედო

### ტორპედო — ლოკომოტივი

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე, ლ. მიქელაძე (ორივე სამტრედია); დ. სანაია (სოხუმი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო; დირექტორი: მ. ანჯაფარიძე

ფოთი. 31 აგვისტო. 18 საათი. ფაზისი

### კოლხეთი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: მ. მალაღურაძე; ლ. სილაგავა, მ. ელიკაშვილი; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე; დირექტორი: პ. ბურჯალიანი

გორი. 1 სექტემბერი. 17 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

### დილა — სიონი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), კ. გაბრიაძე (ქუთაისი); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა; დირექტორი: მ. კვარაცხელია

# სიზმრად ვნახე, ევროთასზე...
## გაიღვიძე, საქმე ნახე

**უეფას** თასის საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩებმა ცხადყო, რომ ქართულ კლუბებს ევროპაში ჯერჯერობით არაფერი ესაქმებათ. საქართველოს შინაურ ჩემპიონატზე მეტის ღირსი არ არის და მივხედოთ მე-15 ეროვნულს. აგერ, კვირა-ორშაბათს მეექვსე ტურია.

გარემოებანი რომ არა, ეს პირველი შემთხვევა იქნებოდა, როცა ტურის ექვსივე მატჩი ერთ დღეს გაიმართებოდა. ერთი ის, რომ ამ ტურში „ვიტ ჯორჯიას" და „თბილისს" „შევარდენი" არა აქვთ გასაყოფი, რადგან ორივე სტუმრად თამაშობს. მეორე: ფედერაციამ ნაპუხოვარ „სიონს" ერთი დღე უშეღავათა და გორში „დილასთან" ორშაბათს ათამაშებს. ამიტომაც კვირის ოთხი შეხვედრა აგვისტოს დროით — 18 საათზე დაიწყება, „დინამო" — „მერცხალი" ორი საათით გვიან (თბილისელებს განათებისაც ეიმედებათ და ამ მატჩის 20 საათზე დაწყებაც საეთერო დროსთან დამთხვევაა — ტელეკომპანია „იმედი" პირდაპირ რეპორტაჟს გეგმავს), „დილა" — „სიონის" მსაჯი კი საშემოდგომო 17 საათზე ჩასტვენს.

„დილა" ამაზე ხელსაყრელ სიტუაციაში ვერ შეხვდებოდა „სიონს", ქვემოქართლელები ფსიქოლოგიურად დათრგუნულები არიან და ჯერაც დრო სჭირდებათ გონს მოსასვლელად. თუმც „სიონის" მწვრთნელი თემურ მახარაძე საპირისპიროს ირწმუნება. „პუხოვთან" მარცხი არ გაგვტეხს, მეტიც, ამ გუნდთან ორრაუნდიანი დაპირისპირებით დიდი გამოცდილება შევიძინეთო. მოკლედ, მახარაძეს ზეგ საღამოს ან დავეთანხმებით, ან არა. „დილას" კი „სიონთან" საშინაო შეხვედრაში ზურაბ ხორგუაშვილი ტრიბუნაზე ეყოლება — ახალგაზრდა მწვრთნელი დისკვალიფიცირებულია.

გორელებივით თულფი ერგო არველაძის „ლოკომოტივსაც", ფრანგთაგან წამხდარ ქუთაისში რომ ჩადის. „ტორპედო" დღესდღეობით კრიზისშია, „ლოკომოტივს" კი, ისე ჩანს, უმთავრესი პრობლემები მოტოვებული აქვს. ასეა თუ ისე, ეს მატჩი ტურის უმთავრესი შეხვედრაა და ყველაფერია მოსალოდნელი. რიონისპირელმა ქომაგებმა ხუთშაბათს ფრანგთა გოლები ვერ აიტანეს და ძნელი წარმოსადგენი არაა, რას იზამენ, მათი გუნდი კვლავაც თუ დამარცხდა. ამიტომაც, ასი თვალი და ყური მართებს ქუთაისის პოლიციას!

დამაინტრიგებელი მატჩია ფოთში. დღეს თანაბარქულიანი „კოლხეთი" და „ვიტ ჯორჯია" დიდ ომს გამართავენ. გია ტყებუჩავას გუნდის შანსი შინაური კედლები და სხარტი, მოკლეპასა შეტევებია. „ვიტ ჯორჯია" კი ნიჭიერი ბირთვის იმედად იქნება. დეკანოსიძეს, ბოლო დროს თავგამოჩენილ მარცვალაძეს და მათ ამქარს თამაში თუ წაუვიდათ, სამ ქულას უთუოდ გაიყოლებენ „ფაზისიდან".

ბათუმელებმა მოგების გემო გაიგეს და ეგებ არასტაბილური „თბილისი" დამწუხრებულიც გაუშვან აჭარიდან.

„სპარტაკი" — „მცხეთა" ნაკლებ ინტერესს იწვევს, თუმც დაძაბულობა რომ არ მოაკლდება, ფაქტია. ჯერაც მოუგებელი მასპინძელი გამარჯვებისთვის გაიწევს, მაგრამ ძნელად თუ გამოუვა...

**პაატა ძვანტალიანი**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | სიონი | 5 | 3 | 2 | 0 | 9:3 | 6 | 11 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 5 | 6 | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 1 | 5 |
| 2 | დინამო | 5 | 3 | 1 | 1 | 11:2 | 9 | 10 | 3 | 2 | 1 | 0 | 9:0 | 9 | 7 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 |
| 3 | ვიტ ჯორჯია | 5 | 3 | 1 | 1 | 11:4 | 7 | 10 | 3 | 3 | 0 | 0 | 11:1 | 10 | 9 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | -3 | 1 |
| 4 | კოლხეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 6:2 | 4 | 10 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 7 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 |
| 5 | თბილისი | 5 | 2 | 1 | 2 | 9:7 | 2 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 3 | 1 | 0 | 3 | 6:5 | 1 | 3 |
| 6 | დილა | 5 | 2 | 1 | 2 | 7:5 | 2 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 6 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 1 |
| 7 | ლოკომოტივი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:6 | 1 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 3 |
| 8 | ტორპედო | 5 | 2 | 1 | 2 | 3:4 | -1 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 3 | 7 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 |
| 9 | მცხეთა | 5 | 2 | 1 | 2 | 6:13 | -7 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 2 | 6 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:10 | -9 | 1 |
| 10 | მერცხალი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | -4 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | -4 | 0 |
| 11 | ბათუმი | 5 | 1 | 0 | 4 | 3:9 | -6 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | -3 | 0 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 3 |
| 12 | სპარტაკი | 5 | 0 | 1 | 4 | 0:13 | -13 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 | 3 | 0 | 1 | 2 | 0:9 | -9 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 5 - ახალაია | დინამო |
| დავითაშვილი | თბილისი |
| 4 - გოცირიძე | ვიტ ჯორჯია |
| 3 - გონჩაროვი | სიონი |

# შევარდნაძე ფეხბურთის პრეზიდენტებს შეხვდება
## პროფლიგა დამატებით თანხებს გამოყოფს და სასჯელს გაამკაცრებს



**საქართველოს** პროფესიული საფეხბურთო ლიგა სპონსორებიდან შემოსული თანხის გარდა, დამატებით ინვესტიციებს მოიხვეჭს — გადაწყდა, რომ შეიქმნება ფეხბურთის განვითარების ფონდი — ამ საქმის ინიციატორი და ერთ-ერთი მთავარი დამფუძნებელი სწორედ პროფლიგაა.

ფონდი გრანტებს დაარიგებს პროფლიგის სტრუქტურაში არსებულ ყველა სუბიექტზე. თანხები პროფლიგის გადაწყვეტილებით გაიცემა კონკრეტული მიზნებისთვის. ეროვნული ჩემპიონატის და ბავშვთა ლიგის კლუბების გარდა დახმარება შესაძლოა მსაჯებსა და ფეხბურთელებსაც გამოუყონ.

არის ერთი სიახლეც — პროფლიგის ინიციატივით, სადისციპლინო კომიტეტის დებულებაში მალე შესწორებებს შეიტანენ — კონკრეტული დარღვევა-დანაშაულისთვის კონკრეტული სანქციები დაწესდება და ფულადი ჯარიმები აუცილებლად გაიზრდება.

რაც შეეხება ქვეყნის პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს, მისი, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას და პროფლიგის პრეზიდენტ დიმიტრი რამიშვილის შეხვედრა ჩვენი ნაკრების ალბანეთთან მატჩების (6 და 10 სექტემბერი) შემდეგ იგეგმება. ასეთი შეხვედრის ინიციატორები შევარდნაძე და მთავრობა არიან — გვითხრა პროფლიგის პრესატაშე პაატა ბურჯალიანმა.

**დავით თავართქილაძე**

### ევროპის სუპერთასი
მილანი 1:0 პორტუ

1:0 შევჩენკო (10)
მილანი: დიდა, შიმიჩი, ნესტა, მალდინი, პარკარო, რუი კოშტა (კაფუ 85), გატუზო, პირლო, ზეედორფი (ამბროზინი 70), შევჩენკო (რივალდო 76), ინძაგი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ქახა ქალაძე ტრავმირებულია

### პოლონეთი
I ლიგა. IV ტური
ლეგია 2:1 ლეხი

### ბელგია
ჟუპილერ ლიგა. IV ტური
ლიერსი 0:1 სტანდარდი

### გერმანია
ჩრდ რეგიონალლიგა. V ტური
ვერდერი (მ) 3:1 შალკე (მ)

### საფრანგეთი
II დივიზიონი. VI ტური
ბეზანსონი 3:1 შატორუ

### პორტუგალია
სუპერლიგა. III ტური
ჟილ ვისენტე — ფერეირა ჩაიშალა

### ჰოლანდია
I დივიზიონი. III ტური
ტილბურგი 2:0 ჰერენვენი
ვიტესი 1:2 ალკმაარი

### თურქეთი
სუპერლიგა. IV ტური
დენიზლი 2:3 ბეშიქთაში

გოჩა ახვლედიანის
### სვეტი

## აგვისტოს ბოლოს ძველი ამბავი

ეს აგვისტოს ბოლოები ტრადიციულად მძიმეა ქართული ფეხბურთისთვის.

უნდა თუ არა, ჩვენს ფეხბურთს, აგვისტოს თვეში თავისი ნამდვილი სახის გამოჩენა უწევს და თან თვალში საცემად და გულსატკენად.

ევროტურნირები რომ არა, ამდენი დარდი და გულისტკივილი არც იქნებოდა, რადგან სწორედ ამ თითო-ოროლა თამაშით ვხედავთ, რომ ვართ სადღაც შორს. თანაც, რაც არ უნდა ჯიგრიანები და მონდომებულები ვიყოთ, ვთქვათ ისე, როგორც ბოლნისის „სიონი", ეს შეღავათში მაინც არ გვეთვლება. როგორი განწყობის გუნდი ხარ, სულერთია. ქართულ ფეხბურთს ერთი სახე აქვს და ეს სახე სათვალავში ჩასაგდები არ არის არც ფრანგული, არც ალბანური, არც სლოვაკური გუნდებისთვის.

ჩვენში, უკვე სტადიონები ჯობია გუნდებს. ბევრად ჯობია და ეს ერთი მხრივ სასიხარულოცაა, ვთქვათ, იგივე თბილისში და ბოლნისშიაც რომ ნამდვილი ფეხბურთის სათამაშო ნამდვილი ადგილები გაჩნდა, მაგრამ საქმეც ეს არის, რომ ფეხბურთისთვის სტადიონი მნიშვნელოვანი კი, მაგრამ მთავარი რამ სულაც არ არის. თუ ნამდვილი ფეხბურთია, გადახრუკულ მინდორზეც ითამაშება, წიდაზეც და ტყლაპოშიაც და მის საცქერლად და საქომაგოდ სეტყვასაც შეუშვერს კაცი თავს.

მაგრამ სად არის ეს ფეხბურთი?

იგივე ბოლნისში არის ეს განწყობა, რომ ხალხი ჭექა-ქუხილში დადგება და მართლა უერთგულებს თავის კლუბს.

ეს გამორჩეული განწყობაა ჩვენს ფეხბურთში, მაგრამ ესეც არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ფეხბურთი ნამდვილი იყოს.

ოთხ თამაშში ქართულმა გუნდებმა გაუშვეს თერთმეტი გოლი და ვერ გაიტანეს ვერცერთი.

სტატისტიკა ბრმასაც გამოადგება დასკვნების გამოსატანად, მაგრამ, მგონი, დასკვნაც აღარ არის გამოსატანი, ის კარგახნის გამოტანილია. საუკეთესო ქართველი ფეხბურთელები საზღვარგარეთ თამაშობენ. ორი მათგანის გოლებმა ამ კვირაში ჩემპიონთა ლიგაში გაიყვანეს ორი სხვადასხვა ქვეყნის გუნდი. ეს ფეხბურთელები იმ თერთმეტის საპასუხოდ, ალბათ გაიტანდნენ, თუნდაც ორ-ორ გოლს იმ ოთხ მატჩში ჩვენი ბოლო საევროპო წარმომადგენლები რომ დააშამათა, მაგრამ ამით მაინც არაფერი შეიცვლებოდა, რადგან იმ გუნდების სახე, რომლებშიაც ისინი თამაშობენ, სხვაა, ჩვენი ფეხბურთისა კი, სხვა.

წლები გადის და არაფერი იცვლება.

თამაშში, თორემ, გარემო და სამოსი თითქოს უკეთესია. ისიც, ალაგ-ალაგ.

# ძილისგუდამ გუდას პირი მოხსნა

## EXCLUSIVE მიხაელ მოლსი: ქართველებთან თამაში საშინელებაა



*არიან ფეხბურთელები, რომლებიც ეროვნულ ნაკრებში უბრალოდ ვერ თამაშობენ, ან ამის საშუალებას არ აძლევენ, მაგრამ კლუბში მყუდრო და ჯადოსნურ სამყაროს იქმნიან. ისინი თავისებური ქარიზმის ხალხია თავისებური მომხიბვლელობით, ბევრი რამ აქვთ თქმული და სათქმელი...*

*ასეთი კაცი „გლაზგო რეინჯერსში" ჰოლანდიელი მიხაელ მოლსია. ის „რეინჯერსში" პირველია, თუნდაც გოლი ვერ გაიტანოს და თამაში ჩააგდოს...*

*მოლსი დეკემბერში 33 წლის მოიყრება, მაგრამ ფხას და ჯანს არც ახლა უჩივის. მან კარიერა „ტვენტეში" დაიწყო, მერე „უტრეხტში" გააგრძელა, ხოლო „აიბროქსზე" ორი წლის წინ შედგა ფეხი და...*

*მოკლედ, შოთა არველაძის დახმარებით „რეინჯერსის" ამ ჰოლანდიელს ინტერვიუ ჩამოვართვით*

**— ვინ არის მიხაელ მოლსი „რეინჯერსისთვის" და რა არის „რეინჯერსი" თქვენთვის?**

— „რეინჯერსში" თამაში ძალიან მსიამოვნებს. „რეინჯერსი" ძალიან განსხვავდება სხვა გუნდებისგან, ეს არაორდინალური კლუბია და მისი წევრი რომ ვარ, ეს ჩემთვის დიდი პატივია. ხოლო თუ რა ვარ მე „რეინჯერსისთვის", არ ვიცი, ამაზე ფიქრით თავი არ შემიწუხებია.

**— გზა „უტრეხტიდან" „რეინჯერსამდე" — ეს თქვენი მაქსიმუმი იყო, თუ უფრო მეტის მიღწევა შეგეძლოთ?**

— როცა „უტრეხტიდან" „რეინჯერსში" გადავდიოდი, მაშინ ეს ჩემთვის საუკეთესო ვარიანტი გახლდათ — „უტრეხტიდან" დიდი ტრადიციების გუნდში გადავედი და მყისვე ჩემპიონთა ლიგაში მომიწია თამაშმა.

**— ჰოლანდიის ნაკრებში კი კარიერა ვერ აგეწყოთ — რა ან ვინ იყო ამის მიზეზი?**

— ბოლმა არავისზე ჩამიდვია და არც უმადური ვინმე ვარ. ყველაფერს მაინც უფრო საკუთარ თავს ვაბრალებ — ეროვნულ ნაკრებში ექვსჯერ მომეცა თავის გამოჩენის შესაძლებლობა, მაგრამ ერთხელაც ვერ გამოვიყენე.

**— ოთხი წლის წინ ჩემპიონთა ლიგის მატჩში მიუნხენში „ბაიერნთან" მძიმე ტრავმა მიიღეთ — იმ ტრავმის და რეციდივის მკურნალობას თითქმის ორი წელი მოანდომეთ — რამ მოგცათ იმის ძალა, რომ კვლავ მაღალ დონეზე თამაშობთ?**

— პირველ რიგში ჩემმა ოჯახმა. ისინი რომ არა, ამას ალბათ ვერ შევძლებდით. კიდევ, ფეხბურთის დიდმა სიყვარულმა.

**— როგორ ფიქრობთ, რა არის მთავარი თავდამსხმელისთვის?**

— ფორვარდს აუცილებლად უნდა ჰქონდეს გოლის ალღო, მაგრამ მხოლოდ ეს არაა საკმარისი. თავდამსხმელს კოლექტიური თამაშიც უნდა შეეძლოს.

**— თანამედროვე ჰოლანდიელი თავდამსხმელებიდან ვინ მიგაჩნიათ საუკეთესოდ?**

— რუუდ ვან ნისტელროი.

**— ბავშვობაში ვინ იყო თქვენი საყვარელი ფეხბურთელი?**

— რა თქმა უნდა, მარკო ვან ბასტენი.

**— რეინჯერსულ ამბებზეც ვთქვათ. თქვენ და შოთა არველაძე მსგავსი სტილის ფორვარდები ხართ — ამით „რეინჯერსის" თავდასხმას მრავალფეროვნება ხომ არ აკლდება?**

— ვერ დაგეთანხმებით. მხოლოდ ბურთის კონტროლი მხედველობაში არ უნდა მიიღოთ. ვფიქრობ, ჩვენ ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებული ფორვარდები ვართ, რაც უფრო ამრავალფეროვნებს „რეინჯერსის" შეტევას.

**— „რეინჯერსის" ახალშენაძენ ზურაბ ხიზანიშვილზე რას იტყოდით?**

— მან უკვე რამდენიმე მატჩი ითამაშა „რეინჯერსში" მაღალ დონეზე. მაგრამ ზურამ უფრო ადრე, გუნდში მოსვლისთანავე დამარწმუნა, რომ ის ნამდვილი ტალანტია. დაცვაში ხიზანიშვილის ასეთ ოსტატურ თამაშს ნამდვილად არ ველოდი. მოკლე დროში ხიზანიშვილი „რეინჯერსს" ძალიან კარგად შეეწყო, ის მართლაც არაჩვეულებრივი ფეხბურთელია.

**— ქართველები და ჰოლანდიელები რაიმეთი თუ ჰგვანან ერთმანეთს?**

— არა. ყოველ შემთხვევაში, მე ვერანაირ მსგავსებას ვერ ვხედავ.

**— ყველაზე უფრო რაზე გწყდებათ გული თქვენს კარიერაში?**

— „ბაიერნთან" მიღებულ ტრავმაზე და კიდევ იმაზე, რომ ქართველებთან ერთად ვთამაშობ (იცინის).

**— ფეხბურთის თამაშის გარდა კარგად კიდევ რისი კეთება შეუძლია მიხაელ მოლსს?**

— ნუ გაგიკვირდებათ, მაგრამ ჩემთვის ასეთი ძილია.

**დავით თავართქილაძე**




მიხაელ მოლსის ჰოლანდიური ავტოგრაფი



# 300 000 და ყველა კმაყოფილია

## გიორგი ლომაია სახალხო სპარტაკში 3 წლით წავიდა

**მაყურებლისთვის**... **მავანთათვის** ყური რომ გვედოთ, საქართველოს ნაკრების მეკარე გიორგი ლომაია სადღეისოდ ან ინგლისურ პრემიერლიგაში, ანაც ბუნდესლიგაში მაინც უნდა გვეხილა. ლოდინით გულგატეხილ მეკარეს უკრაინული „დინამოს" ვარიანტიც ჩაეშალა და გუშინდლამდე ისევ „ლოკომოტივისთვის" ირჯებოდა.

გუშინ კი გიორგი ლომაია რკინიგზელებს დაემშვიდობა, თბილისი — მოსკოვის თვითმფრინავზე ბილეთი ძლივს იშოვა და ალბათ, გვარიანი დროითაც გამოეთხოვა საქართველოს ჩემპიონატს.

ჩვენებური მეკარის მსურველი რუსების სახალხო, დღეს დაძაბუნებული „სპარტაკი" აღმოჩნდა. მოსკოვური კლუბის თავკაცებს თბილისელი რკინიგზელებისთვის 300 ათასი დოლარი შეუთავაზებიათ, მეკარე დაგვითმეთო. ამის გამგონე „ლოკომოტივის" ხელმძღვანელებმაც სულ ლოცვა-კურთხევით გააცილეს ლომაია მოსკოვში.

„ლოკომოტივის" წარმომადგენლების ოფიციალური განცხადებით, ქართულმა და რუსულმა კლუბებმა ყველაფერზე მოილაპარაკეს და ხელშეკრულებაც გაფორმდა. ახლა ლომაიამ მხოლოდ პირად კონტრაქტზე უნდა იზრუნოს. სპარტაკელები ჩვენებურს სამწლიან კონტრაქტს სთავაზობენ, რაზეც საქართველოს ნაკრების მეკარე ყაბულსაა.

გიორგი ლომაიამ „ლოკომოტივიდან" გათავისუფლების ფურცელი გუშინვე აიღო, სხვა საბუთებიც მოაქუჩა და გვიან ღამით უკვე სპარტაკელთა გარემოცვაში იქნებოდა.

მართალია, „ლოკომოტივი" თავისი ერთ-ერთი მოთამაშის სანაცვლოდ გვარიან თანხას აიღებს, მაგრამ წილში აუცილებლად ფეხბურთის ფედერაცია ჩაუჯდება, რა ხანია, რკინიგზელებს ფედერაციის ვალი აქვთ და მის გადახდას არ დაადგა საშველი. არ იყო გამორიცხული, ლომაიას ამ მიზეზით კიდევ ერთხელ ჩაშლოდა ტრანსფერი, მაგრამ „ლოკომოტივმა" და ქართული ფეხბურთის თავკაცებმა ბოლო წამს საერთო ენა გამონახეს.

ახლა, ალბათ, ყველა კმაყოფილია, გიორგი ლომაიაც, რომელმაც აქაურობას თავი დააღწია, რკინიგზის შეფობაც, რომელიც ლომაიაში აღებული ფულით სარგებელსაც ნახავს და ვალებსაც გაისტუმრებს, ფედერაციაც, ვინც ბოლო ბოლო — მოახერხა და „ლოკომოტივს" კუთვნილი აღლიტა და, რაღა თქმა უნდა, „სპარტაკიც", რომელიც შარშან აქეთ საიმედო მეკარის ძიებაშია და ბოლო დროს რამდენიმე გოლკიპერი გამოიცვალა.

**დათო დანელია**





იანგ ბოისი — მიუპა. შტეფან შაპუიზამ (მარჯვნივ) და შვეიცარიელებმა ფინელებს ვერაფერი დააკლეს

# ექვსგოლიანი მიწისძვრა




ელდარ ჰაჯიმემედოვიჩი

## უეფას თასი

UEFA CUP საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები UEFA CUP

*ლევსკი* *(ბულგარეთი)* 2:0 ატირაუ (ყაზახეთი) (4:1)
*სტიაუა* *(რუმინეთი)* 0:0 ნემანი (ბელარუსი) (1:1)
*ლოკერენი* *(ბელგია)* 3:1 დინამო (ალბანეთი) 4:0
*დებრეცენი* *(უნგრეთი)* 2:1 დ.დ. (1:1) ეკრანასი (ლიტვა) (1:1)
*ვარტექსი* *(ხორვატია)* 3:2 ლევადია (ესტონეთი) (3:1)
კატოვიცე (პოლონეთი) 1:1 *ცემენტარნიცა* *(მაკედონია)* (0:0)
იანგ ბოისი (შვეიცარია) 2:2 *მიუპა* *(ფინეთი)* (2:3)
ბელასიცა (მაკედონია) 0:5 *პუბლიკუმი* *(სლოვენია)* (2:7)
ბრინდავიკი (ისლანდია) 1:1 *კერნტენი* *(ავსტრია)* (1:2)
დომანანო (სან მარინო) 0:4 *ტორპედო* *(რუსეთი)* (0:5)
დუდელანჟი (ლუქსემბურგი) 0:1 *პეტრჟალკა* *(სლოვაკეთი)* (0:1)
დერი სიტი (ირლანდია) 0:3 *აპოელი* *(კვიპროსი)* (1:2)
*მაკაბი* *(ჰაიფა, ისრაელი)* 3:0 ქუიმბრან თაუნი (უელსი) (3:0)
*კამენ ინგრადი* *(ხორვატია)* 7:0 ეტცელა (ლუქსემბურგი) (2:1)
სანტა კოლომა (ანდორა) 1:4 *ესბიერგი* *(დანია)* (0:5)
მეტალურგსი (ლატვია) 1:1 *დინამო* *(რუმინეთი)* (2:5)
შირაქი (სომხეთი) 0:2 *ნორდსიელანდი* *(დანია)* (0:4)
*დანდი* *(შოტლანდია)* 4:0 ვლაზნია (ალბანეთი) (2:0)
კლაქსვიკარი (ფარერები) 0:4 *მიოლდე* *(ნორვეგია)* (0:2)
*დნიპრო* *(უკრაინა)* 1:0 ვადუცი (ლიხტენშტაინი) (1:0)
*ზიმბრუ* *(მოლდოვა)* 2:0 ლიტექსი (ბულგარეთი) (0:0)
*ლეირია* *(პორტუგალია)* 5:0 კოლრეინი (ჩრდ. ირლანდია) (1:2)
*ფერენცვაროში* *(უნგრეთი)* 1:0 ბირკირკარა (მალტა) 5:0
პორტდაუნი (ჩრდ. ირლანდია) 0:2 *მალმიო* *(შვედეთი)* (0:4)
ნისტრუ (მოლდოვა) 2:3 *ცრვენა ზვეზდა* *(სერბეთი)* (0:5)
შელბურნი (ირლანდია) 2:3 *ოლიმპია* *(სლოვენია)* (0:1)
დინამო (ბელარუსი) 0:2 *ბრონდბიუ* *(დანია)* (0:3)
*ლინი* *(ნორვეგია)* 6:0 რუნავიკი (ისლანდია) (3:1)
ტვმკ (ესტონეთი) 0:3 *ოდენსე* *(დანია)* (1:1)
ბანანცი (სომხეთი) 1:2 *ჰაპოელი* *(თელ ავივი, ისრაელი)* (1:1)
ანართოსისი (კვიპროსი) 1:3 *ჟელეზნიჩარი* *(ბოსნია)* (0:1)
ფილკირი (ისლანდია) 0:0 *აიკ* *(შვედეთი)* (0:1)
ლანსანტფრეიდი (უელსი) 0:2 *მანჩესტერ სიტი* *(ინგლისი)* (0:5)
პლოცკი (პოლონეთი) 2:2 *ვენტსპილსი* *(ლატვია)* (1:1)
*სარტიდი* *(სერბეთი)* 3:0 სარაევო (ბოსნია) (1:1)
*ჰაიდუკი* *(ხორვატია)* 1:0 ჰაკა (ფინეთი) (1:2)
*ქსამაქსი* *(შვეიცარია)* 2:0 ვალეტა (მალტა) (2:0)

ოდესღაც ნამგალსა და უროს ქვეშ გაერთიანებული ყოფილი საბჭოთა გუნდებიდან უეფას თასზე თამაში თექვსმეტს ელირსა. სამწუხაროდ, ჩვენ იმ თორმეტეულში აღმოვჩნდით, რომელთა ევროსეზონიც სკოლაში ბავშვების წასვლამდე მთავრდება. მხოლოდ მოსკოვის „ტორპედომ", „დნიპრომ", „ზიმბრუმ" და „ვენტსპილსმა" გაიარეს პირველი რაუნდი.

„ტორპედოს" პირველი, საშინაო მატჩი (5:0) მოგებული ჰქონდა და სანმარინოში არხეინად, მაგრამ ძირითადი შემადგენლობით ჩავიდა. „დომანანო" უკეთ გაისარჯა, რადგან მეტოქეს უფრო მეტ ხანს გაუძალიანდა, ვიდრე რუსეთში. მასპინძლებს სულ ერთი წუთი დააკლდათ საიმისოდ, რომ ოთხ ტაიმში ერთი მაინც ფრედ ეთამაშათ. ეტყობა, მატჩის არბიტრმა მოსკოვური მატჩის ანგარიში არ იცოდა, თორემ შესვენებამდე წუთით ადრე ისედაც დაჩაგრულთა კარში თერთმეტმეტრიანს არ დანიშნავდა. პირველი გოლიდან ნახევარ საათში სტუმრებმა კიდევ სამი გაიტანეს და ოთხზე დაამუხრუჭეს.

„დნიპრო" „ტორპედოსთან" შედარებით ლმობიერად მოიქცა. უკრაინელებმა სანმარინოსავით ჯუჯა სახელმწიფოს, ლიხტენშტაინის „ვადუცს" ორჯერ ერთბურთიანი სხვაობით დამარცხება აკმარეს. დნეპროპეტროვსკში სტადიონზე მისული 3500 მაყურებელი გოლების ცვენას ამაოდ ელოდა. შეხვედრის დასრულებამდე თხუთმეტი წუთით ადრე ალექსანდრ რიკუნის კინკილა გოლი მოსაგებად საკმარისი აღმოჩნდა.

აღსანიშნავია მოლდოვური „ზიმბრუს" გამარჯვება ბულგარულ „ლიტექსთან". ბულგარელებმა შინ ნათამაშები ფრის შემდეგ სტუმრად დაცვა არჩიეს. ამ საქმეს მეორე ტაიმის ნახევრამდე ფრიადზე გაუძღვნენ, მაგრამ ილიე ბალაშას გოლმა ისინი შეტევისკენ, გასათანაბრებლად დაქოქა. „ლიტექსი" საბოლოოდ მატჩის ბოლოს განელდა, როცა მათ კარში პენალტი დანიშნეს და ბორის ჩებოტარმა ზუსტი დარტყმით ანგარიში ორამდე გაზარდა.

მეოთხე ძველსაბჭოელი ლატვიის „ვენტსპილსია", რომელმაც პოლონურ „პლოცკს" სტუმრად ორბურთიანი სხვაობა გაუქვითა. პირველი გოლი მასპინძლემა შეხვედრის დასაწყისშივე გაიტანეს. პოლონელთა სომეხ ლეგიონერ ვაჰან გევორქიანის პასი ირენეუშ იელენმა შეირგო. მანვე შესვენებამდე დუბლი მიითვალა. ამჯერად ლატვიელ მცველებს ეულად გაუმკლავდა და ზუსტად დაარტყა.

შესვენების შემდეგ სტუმრებმა გაილაღეს. მათ გასათანაბრებლად ჩვიდმეტი წუთი დასჭირდათ. იგორ სტუკალინის ჩაწოდებულს ვიტას რიმკუსის საგოლე თავური მოჰყვა, მერე კი ბრანისლავ იაშურეკის ფლანგური გარღვევა სერგეი ზანგარიევმა შედეგიანად დაასრულა. მალე მასპინძელი ვასილევსკი მსაჯმა გააძევა. მიუხედავად ამისა, „პლოცკმა" რამდენიმე კარგი მომენტი შექმნა, რომელთაგანაც გოლით დასრულება ერთსაც არ ეწერა.

ნორვეგიის ჩემპიონატში მიღწეული ცუდი შედეგებისთვის „ლინის" მთავარი მწვრთნელი „რუნავიკთან" მატჩის წინ გადადგა. უცნობია, მის ნაცვლად გუნდი ვინ ჩაიბარა, მაგრამ ვინც არ უნდა იყოს, მისი გვარი არავის გაახსენდება. „ლინის" 18 წლის ფორვარდმა, ბოსნიელმა ელდარ ჰაჯიმემედოვიჩმა 47 წუთში ექვსი გოლი გაიტანა და მატჩის სანახავად მისული ექვსასამდე გულშემატკივარი საოცარი შედეგის მომსწრედ აქცია.

„მიუპამ" „იანგ ბოიზის" ძლევით ახალი ფურცელი გადაშალა. აქამდე უეფას თასზე შვეიცარიული ღობე არასოდეს გადაელახა. ამჯერად, შინ 3:2 გამარჯვების შემდეგ, ფინელებმა სტუმრად მეტოქეს ფრე გამოჰგლიჯეს და მომდევნო ეტაპზე გავიდნენ.

„იანგ ბოიზს" „მიუპას" დაჩაგვრა პირველივე ტაიმში შეეძლო, მაგრამ შტეფან შაპუიზამ და მისმა დამქაშებმა აურაცხელი მომენტიდან მხოლოდ ერთი გამოიყენეს. გურკან სერმეტერმა 20 მეტრიდან დარტყმულით მასპინძლები დააწინაურა. ეს ანგარიში შვეიცარიელებს ხელს აძლევდათ.

მეორე ტაიმში „იანგ ბოიზი" მოეშვა. მცველების ჩათვლემით ბრაზილიელმა ლუის ანტონიომ ისარგებლა და საპასუხო გოლი შეაგდო. დამხვდურები ამის შემდეგღა გამოცოცხლდნენ. მალე ისინი კვლავ სერმეტერის ზუსტმა დარტყმამ გაახარა, მაგრამ ტერო ტაიპალეს გვიანმა, გადამწყვეტმა გოლმა მასპინძელთა 8 ათასამდე ქომაგი გააყუჩა.

სერბულ-ბოსნიურ საფეხბურთო ბრძოლაში საბოლოოდ „სარტიდმა" იმარჯვა. მასპინძლებმა თავიდანვე გააფთრებულად შეუტიეს „სარაევოს" კარს და მომენტები ერთიმეორის მიყოლებით შექმნეს. ისე გაილაღეს, რომ საკუთარი ნახევარი დროებით მიავიწყდათ და კინაღამ გოლი გაუშვეს. მეთვრამეტე წუთზე მირზეტ ალაგიჩმა ბრწყინვალე პასით ალენ ავდიჩი კარიდან შვიდ მეტრში ბურთით დატოვა, მაგრამ ავდიჩმა ხარიხას გაარტყა.

გამოუყენებელი შანსისთვის ბოსნიელები მალე დაისაჯნენ — უკრაინელმა მსაჯმა „სარტიდის" სასარგებლოდ თერთმეტმეტრიანი დანიშნა, რომელიც მარკო პანტელიჩმა შეიშნო. აქედან ნახევარი საათის მანძილზე მეტოქეები შედარებით მიწყნარდნენ. როცა „სარაევომ" გასათანაბრებლად სიჩქარე ჩართო, მასპინძლებმა მათი შეტევა ცენტრში ჩაშალეს და მილორად ზეჩევიჩმა ბოსნიელებს მეორე გაუტანა.

შეხვედრის ბოლო წუთზე სტუმარმა სამირ ალიჩმა იუხეშა. მსაჯმა იგი გააძევა, საჯარიმო დარტყმა კი ვლადიმირ მუდრინიჩის გოლით დასრულდა.

კვიპროსში ხრისტოს ველისის დღე იყო. ქეცბაიას „ანართოსისს" ბოსნიაში ერთბურთიანი მარცხის შემდეგ შინ მოგებისა ეიმედებოდა. ანგარიში სტუმრებმა მეცხრე წუთზე გახსნეს. მეკარე ნიკოს პანაიოტომ ბურთი ცხვირწინ მოიგერია და ამლირ გრედიჩმა საგოლედ დაამატა. მასპინძლებმა მალე გაათანაბრეს. ქეცბაიას წამოწყებული კომბინაცია ველისმა დააგვირგვინა. კუნძულელთა სამწუხაროდ, ერთ წუთში ველისმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. „ანართოსისის" უამრავი მცდელობის მიუხედავად, „ზელეჟნიჩარმა" გაძლო და შეხვედრის დასრულებამდე ჩვიდმეტი წუთით ადრე შედეგიანად კონტრშეტევაც მოასწრო.

გიორგი ნემსაძის „დანდიმ" ორი მატჩის ჯამში ალბანურ „ვლაზნიას" ექვსი გოლი გაუტანა და კვალიფიკაცია გაიარა. დანდელები ნაჩო ნოვომ თამაშის დაწყებისთანავე დააწინაურა. ხუან სარამ შესვენებამდე თავისი წილი გოლი გაიტანა. მეორე ტაიმში გევინ რაემ მესამედაც გახვრიტა „ვლაზნია", ნოვომ კი დასასრულს ალბანელთა დამწუხრება მეოთხედ იკისრა.

**მაჩა ხუციშვილი**



ქსამაქსი — ვალეტა. ჟოელ გრიფიტის ამ დარტყმას გოლი მოჰყვა

# რას გადაუშრება ბარსელონა?!

**წარმოიდგინეთ:** „ბარსელონას“ ოფისი. ხუან ლაპორტა და სანდრო როსელი ინტერნეტში საქართველოს ეძებენ. იპოვეს. საძიებელში გუნდის სახელი, „სიონი“ ჩაწერეს. კომპიუტერმა შვეიცარიული „სიონი“ ამოაგდო. მერე ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური გვერდის ამოქექვას შეუდგნენ. ამასობაში დაუღამდათ, შედეგი ნულია, საფეხბურთო კლუბ ბოლნისის „სიონის“ შესახებ ვერაფერს მიაგნეს.

„პუხოვთან“ „სიონის“ პირველ შეხვედრამდე ორი სიტყვა ამეკვიატა: ბოლნისის „სიონი“, ბოლნისის „სიონი“... მგონი, რაღაცას ჰგავს. „ბოლნი...“, „ბარსა...“, „სიონი“..., „სელონა“. შემეშინდა, მაგრამ მაინც გავიფიქრე, „სიონმა“ „პუხოვი“ რომ გაიაროს და... „ბარსელონას“ შეხვდეს, აქ ამბავი დატრიალდება...

დაილოცოს, ვინც დედამიწის სიმრგვალე აღმოაჩინა. კაცი კარის მეზობელს შეიძლება ვერ შეხვდეს, მაგრამ ბოლნისის „სიონს“ კინაღამ „ბარსელონა“ შეხვდა. ეს კინაღამ სლოვაკური „პუხოვი“ იყო, რომელიც 24 სექტემბერს კატალონიის სიამაყეს ცოცხლად იხილავს. არადა, რონალდინიოს თუ არ ჩამოიყვანდნენ, რაიციგერის უცხოპლანეტურ სიფათს ხომ მაინც ვნახავდით პირისპირ.

ეჰ, მთავარი ამ ამბავში სულ სხვაა. წილისყრა გვწყალობს, ჩვენ კი ღვინოს ვაწყალებთ.

კიდევ ერთი საკვირველი დამთხვევა. ბოლნისში სტადიონზე ჰოლანდიური ბალახი დათესეს, „სიონი“ კი ნარიჯისფრად შეიმოსა. საინტერესო იქნებოდა, რაიკარდის ცხვირის ნახვა, მშობლიური ბალახის სუნს რომ იგრძნობდა და ეროვნული ნაკრების ფერსაც იხილავდა.

ისე კი მაგრად გადარჩნენ ბ-ბი.

**ბაჩა ხუციშვილი**

## შეფას თასი. მეორე ეტაპის წილისყრა

UEFA CUP

აიკ (შვედეთი) — ვალენსია (ესპანეთი)
დინამო (რუმინეთი) — შახტარი (უკრაიანა)
მ. ჰაიფა (ისრაელი) — პუბლიკუმი (სლოვენია)
ტორპედო (რუსეთი) — ცსკა (ბულგარეთი)
დანდი (შოტლანდია) — პერუჯა (იტალია)
ცემენტარნიცა (მაკედონია) — ლანსი (საფრანგეთი)
ნიუკასლი (ინგლისი) — ბრედა (ჰოლანდია)
ბენფიკა (პორტუგალია) — ლუვიე (ბელგია)
პანიონიოსი (საბერძნეთი) — ნორდსიელანდი (დანია)
ჰარდსი (შოტლანდია) — ჟელეზნიჩარი (ბოსნია)
უდინეზე (იტალია) — ზალცბურგი (ავსტრია)
გენჩლერბირლიგი (თურქეთი) — ბლექბერნი (ინგლისი)
პუხოვი (სლოვაკეთი) — ბარსელონა (ესპანეთი)
დინამო (ხორვატია) — მტკ (უნგრეთი)
ჰაპოელი (რამატ-განი, ისრაელი) — ლევსკი (ბულგარეთი)
კაიზერსლაუტერნი (გერმანია) — ტეპლიცე (ჩეხეთი)
სარტიდი (სერბეთი) — სლავია (ჩეხეთი)
ვილიარეალი (ესპანეთი) — ტრაბზონსფორი (თურქეთი)
გრასჰოპერი (შვეიცარია) — ჰაიდუკი (ხორვატია)
ჰერტა (გერმანია) — გროცლინი (პოლონეთი)
ლივერპული (ინგლისი) — ოლიმპია (სლოვენია)
ვოლერენგა (ნორვეგია) — გრაცერი (ავსტრია)
ზიმბრუ (მოლდოვა) — არისი (საბერძნეთი)
კოპენჰაგენი (დანია) — ფერენცვაროში (უნგრეთი)
ვარტეკსი (ხორვატია) — დებრეცენი (უნგრეთი)
ჰამბურგი (გერმანია) — დნიპრო (უკრაინა)
ბორდო (საფრანგეთი) — პეტრჟალკა (სლოვაკეთი)
რომა (იტალია) — ვარდარი (მაკედონია)
მანჩესტერ სიტი (ინგლისი) — ლოკერენი (ბელგია)
სპარტაკი (რუსეთი) — ესბიერგი (დანია)
ვისლა (პოლონეთი) — ნაიმეგენი (ჰოლანდია)
ლეირია (პორტუგალია) — მოლდე (ნორვეგია)
აუსტრია (ავსტრია) — დორტმუნდი (გერმანია)
ვენტსპილსი (ლატვია) — რუსენბორგი (ნორვეგია)
გაზიანთეფსფორი (თურქეთი) — ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი)
ოდენსე (დანია) — ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)
სპორტინგი (პორტუგალია) — მალმიო (შვედეთი)
უტრეხტი (ჰოლანდია) — ჟილინა (სლოვაკეთი)
მ. დონეცკი (უკრაინა) — პარმა (იტალია)
მიუპა (ფინეთი) — სოშო (საფრანგეთი)
შალკე (გერმანია) — კამენ ინგრადი (ხორვატია)
მალიორკა (ესპანეთი) — აპოელი (კვიპროსი)
საუთჰემპტონი (ინგლისი) — სტიაუა (რუმინეთი)
ფეიენოორდი (ჰოლანდია) — კერნტენი (ავსტრია)
პაოკ (საბერძნეთი) — ლინი (ნორვეგია)
მალათია (თურქეთი) — ბაზელი (შვეიცარია)
ბრონდბიუ (დანია) — ჟიჟკოვი (ჩეხეთი)

*I მატჩები 24 სექტემბერს გაიმართება, საპასუხო 15 ოქტომბერს*



პრინცმა ალბერმა ჯანლუიჯი ბუფონი მეფურად დააჯილდოვა

# ზემოთ ბუფონია

## მონტე კარლო, ანჩელოტი კარლო და სხვანი

**მონტე კარლოში** ჩატარებულ დაჯილდოვების ცერემონიალზე მთავარი პრიზი, MVP ანუ ყველაზე ფასეული თუ ღირებული, მამა-პაპურ-გლეხურ-ქართულად კი საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი „იუვენტუსის“ მეკარემ, ჯანლუიჯი ბუფონმა მიიღო. აქ, უეფა გულისხმობს, რომ მის მიერ გასულ სეზონში მოწყობილ შეჯიბრებებში ყველას ბუფონი სჯობდა.

და, რაკილა ბუფონმა მთავარი ჯილდო მიიღო — რომელიც მას მონაკოს პრინცმა, სპორტის დიდმა მოამაგემ და მოყვარულმა, ალბერმა გადასცა — ბუნებრივია, მასვე ერგო საუკეთესო გოლკიპერის პრიზიც, იგი ბუფონს, წარსულში დიდმა ირლანდიელმა ფეხბურთელმა, ჯორჯ ბესტმა მიართვა.

ბუფონის დამსახურება ნათელია: „იუვენტუსის“ მიერ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლაში შეტანილი უზარმაზარი წვლილი, პლუს საუცხოო თამაში საკუთრივ ფინალში.

გარდა ჩამოთვლილი და იტალიელი მეკარის მოხვეჭილი ნომინაციებისა, იყო საუკეთესო მცველის, ნახევარმცველის და თავდამსხმელის პრიზებიც. საუკეთესო მცველობა მადრიდის „რეალის“ წევრს, ბრაზილიელ რობერტო კარლოსს ერგო (ჯილდო რობერტო ბეტეგამ გადასცა), საუკეთესო ნახევარმცველად შერაცხულ იუვენტუსელ ჩეხს, პაველ ნედვედს დიდი დეშანმა ჩამოართვა მოწიწებით ხელი, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედის“ ჰოლანდიელ თავდამსხმელს, რუუდ ვან ნისტელროის ოსტატობის დასაფასებელი ჯილდო სერ ბობი ჩარლტონმა მიართვა.

ამის შემდეგ, უეფას პრეზიდენტმა, ლენარტ იუჰანსონმა ხანგრძლივი კარიერა პაოლო მალდინის დაუფასა — ეს გახლდათ უეფას პრეზიდენტის საგანგებო ჯილდო, რომელიც „მილანის“ და სკუადრა აძურას ერთგულ და დიდ წევრს უძღვნეს.

ჰოლანდიელ თავდამსხმელ როი მაკაის, რომელიც „დეპორტივო ლა კორუნიადან“ ეს-ესაა მიუნხენის „ბაიერნში“ გადავიდა, ეუსებიოს ხელით „ოქროს ბუცი“ მიართვეს. „ოქროს ბუცს“ საუკეთესო ბომბარდირს ევროპის ყველაზე ავტორიტეტული ჟურნალ-გაზეთები, „ა ბოლა“, „ფრანს ფუტბოლი“, „გაძეტა დელო სპორტი“, „კიკერი“, „ფუტბოლ ინტერნაციონალი“, „ფუტ მაგაზინი“ და „უორლდ სოკერი“ ანიჭებენ. მაკაის, ალბათ, „ბაიერნის“ კარში შესრულებული ჰეთთრიქი დაუფასეს. მანვე ესპანეთის ჩემპიონატში 29 გოლი გაიტანა.

უეფას თასის მომგებ ანუ „პორტუს“ მწვრთნელს, ჟოზე მურინიუს საგანგებო ჯილდო ვისენტე დელ ბოსკემ მიართვა, ხოლო ჩემპიონთა ლიგის მომგებ კარლო ანჩელოტის, რუუდ გულიტმა.

შემდეგ უეფას გენერალურმა მდივანმა გერჰარდ აიგნერმა ერთი მილიონი შვეიცარული ფრანკი — ჩეკი, ბუნებრივია, — ჩემპიონთა ლიგის ფინალის მსაჯს, მარკუს მერკს მიართვა.

საგანგებო ჯილდო ერგო ჰოლანდიელ ვეტერანს, არონ ვინტერს — ეს ჩინებული ფეხბურთელი ნეკა თითზე გრძელი ფრჩხილით უკვე გვაკვირვებდა — რომელიც კარიერა კარიერად და რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლითაც ყოფილა გამორჩეული.

და ბოლოს, გვინდა შევახსენოთ მადრიდის „რეალის“ პორტუგალიელი გარემარბის, ლუიშ ფიგუს გოლი „მანჩესტერ იუნაიტედის“ კარში — ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალზეა საუბარი. ის გოლი უეფამ გასული სეზონის საუკეთესო გოლად მიიჩნია.

**ბაკურა ძიძია**

# აბრამოვიჩის მაკელელე

## რეალს ოცი მილიონი, ჩელსის კიდევ ერთი...



**კლოდ მაკელელემ** სამეფო გუნდი საბოლოოდ მიატოვა. ფრანგი ნახევარმცველი ამიერიდან ლონდონის „ჩელსიში“ ითამაშებს. ესპანურ-ინგლისური ტრანსფერი მონაკოში გაფორმდა, სადაც ფლორენტინო პერესისა და რომან აბრამოვიჩის წარმომადგენლები მაკელელეს ბოლო ფასზე, 20 მილიონ ევროზე შეთანხმდნენ.

აჯანყებულმა კლოდმა ხუთშაბათს „რეალის“ შემადგენლობაში უკანასკნელი ვარჯიში ჩაატარა. მადრიდელთა თავკაცები მშვენივრად ხვდებოდნენ, ფრანგს ესპანური ლაგამი აწყვეტილი რომ ჰქონდა და ხელსაყრელ მყიდველთან ხელსაყრელ გარიგებაზე უარი აღარ უთქვამთ (ახლანდელი ფასი აბრამოვიჩის მიერ ადრე შეთავაზებულ 10 მილიონ ევროზე ბევრად მეტია). ახლა, როდესაც „მაკელელეს საქმე“ ისტორიას ჩაბარდა და რუსი ოლიგარქის გულუხვად გამეტებული მილიონებიც პირინეულ ხაზინაშია, „რეალს“ შეუძლია, ფერნანდო იეროს შემცვლელი უფრო აქტიურად ეძებოს, მით უმეტეს, რომ 2003-04 წლების პრიმერა კასტილიურ კარზეც მოუთმენლად აკაკუნებს.

საფრანგეთის ნაკრების წევრი, 30 წლის კლოდ მაკელელე 3 სეზონის წინ 13 მილიონ 200 ათას ევროდ მივიდა „რეალში“, იქამდე კი ფრანგულ „ნანტში“ (1992-1996), „მარსელსა“ (1997-98) და ესპანურ „სელტაში“ (1998-2000) ბურთაობდა.

**ლადო ხომერიძე**

# ინგლისი

ვაჟა ხუციშვილი



# ულიე წყდება

**სატრანსფერო** ფანჯრის დახურვამდე სამმა პრემიერლიგელმა ახალი ფეხბურთელების შეძენა მოასწრო. თქვენ თვითონ მიხვდებით, რომ სამეულში ლონდონის „ჩელსი“ აუცილებლად იქნება. „არისტოკრატებმა“ თანაქალაქელ „ტოტენჰემს“ შოტლანდიელი მეკარე ნილ სალივანი წაჰგვარეს.

კევინ კიგანის „მანჩესტერ სიტი“ მადაზე მოვიდა. „ჩელსი“ ყიდულობს, მაგრამ მანჩესტერელებიც არანაკლებ აქტიურობენ. „სიტიმ“ პირველ დივიზიონში დაქვეითებულ „სანდერლენდს“ ამერიკელი ნახევარმცველი კლაუდიო რეინა დასცინცლა და შუა ხაზი უფრო გააძლიერა.

„ბლექბერნ როვერსი“ გლაზგოს „რეინჯერსს“ სიტყვიერად შეუთანხმდა და ბარი ფერგიუსონი მალე გრემ სუნესის გუნდს შეუერთდება.

უკვე გახურებული პრემიერლიგის მეოთხე ტური დღეს დაიწყება. მთავარი მატჩი ლივერპულში გაიმართება. მორიგი მერსისაიდული დერბი „წითლებსა“ და „ლურჯებს“ შორის ახალი ინტრიგითაა შეკაზმული. ჟერარ ულიეს „ლივერპული“ თუ ვერ მოიგებს, შესაძლოა, ფრანგ მწვრთნელს კარისკენ მიუთითონ. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ „წითლები“ აუცილებლად მოიგებენ, რადგან ამ გუნდების თამაშს ფეხბურთი პირობითად ჰქვია, მოედანზე კი ომია. „ევერტონს“ ერთადერთი დარდი მეკარე რიჩარდ რაიტის ტრავმაა და მხოლოდ მატჩის წინ გადაწყდება, კარში ჩადგება თუ არა.

„ლივერპულის“ მხრიდან საეჭვოა ემილ ჰესკის გამოჩენა, რომელსაც ფეხი სტკივა. „ტოტენჰემთან“ შეხვედრაში დასვენებული რიისე და მერფი ალბათ ძირითად თერთმეტეულში იქნებიან.

თავის ყოფილ გუნდ „ბლექბერნს“ დამიენ დაფი უმასპინძლებს. „ჩელსი“ „ბლექბერნს“ შეერკინება. ალბათ კვლავ „კალინკასა“ და რომან აბრამოვიჩის თანხლებით. კლაუდიო რანიერის ვარსკვლავთკრებულში ეგებ ერნან კრესპოც გამოჩნდეს. რაც შეეხება გრემ სუნესს, მან ულიესგან მოძულებული მარკუს ბაბელი დაიმატა.

ბრწყინვალედ მოთამაშე „მანჩესტერ სიტი“ ლიდერს, ლონდონის „არსენალს“ უმასპინძლებს. ერთმანეთის პირისპირ ძველი ნაცნობები წარდგებიან. ორი ყოფილი მეთოფე, დევიდ სიმენი და ნიკოლა ანელკა, არსენ ვენგერს მოედანზე დაუხვდება. თვალსასეირო მატჩი უნდა გამოდგეს, რადგან ორივე გუნდი საგოლედაა მომართული.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ პრემიერლიგის ყველაზე უცნაურ გუნდს ესტუმრება. „საუთჰემპტონს“ სამ ტურში არც მოუგია და არც წაუგია, ანუ სამივე ფრე მოაგროვა. მასპინძლებს ირლანდიელი ნახევარმცველი დელაპი ტრავმის გამო არ ეყოლებათ. სტუმრები პოლ სქოულზს მოისაკლისებენ. ამ შემთხვევაში ალექს ფერგიუსონი როი კინის ცენტრალურ მცველად გამწესებას აპირებს, ძირითად შემადგენლობაში კი კრისტიანო რონალდოსა და კლებერსონის გამოჩენას უნდა ველოდოთ.

გამარჯვებას მოწყურებული „ნიუკასლი“ „ბირმინგემის“ შეხრამუნებას ეცდება. ჩემპიონთა ლიგაში ვერმოხვედრილ ჯორდებს უეფას თასი და პრემიერლიგაღა შერჩათ. „პარტიზანთან“ მარცხის შემდეგ ბობი რობსონმაც ასე თქვა, ახლა პრემიერლიგას უნდა მივხედოთო. მასპინძლებს მუხლნატკენი კრეიგ ბელამი არ ეყოლებათ, სტუმრებს კი „ჩელსიდან“ მიკაელ ფორსელი ერთწლიანი იჯარით აუყვანიათ და ეგებ კიდეც ათამაშონ.

იმ გუნდებიდან, რომლებსაც ჯერ მოგების გემო არ დაუჭაშნიკებიათ, ყველაზე წყალწაღებული „ვულვერჰემპტონი“ ჩანდა, მაგრამ შუა კვირაში „მანჩესტერთან“ ბრძოლაში მგლებმა კბილები გამოაჩინეს. „ვულვზს“ „პორტსმუთთან“ შერკინება მოუწევს. ჰარი რედნაპმა თითქოს საპენსიოდ გამზადებული ტედი შერინგემი შეიკედლა, მოულოდნელ ფორვარდს კი „პორტსმუთისთვის“ გოლები გააქვს. წინა ტურში შერინგემმა ჰეთთრიქი მიითვალა.

„ასტონ ვილა“ „ლესტერს“ უმასპინძლებს, რომელსაც ვეტერანი ფორვარდი ლეს ფერდინანდი ვერ დაეხმარება. ფერდინანდს ეგებ მუხლის ოპერაცია დასჭირდეს.

„ბოლტონის“ წინააღმდეგ „ჩარლტონში“ გადაბარგებული პაოლო დი კანიოს გამოჩენაა მოსალოდნელი. დამხვდურებს ბრუნო ნგოტი და ენტონი ბარნსი ტრავმების გამო დააკლდებათ.

**IV ტური**

**დღეს**

ასტონ ვილა — ლესტერი
ბოლტონი — ჩარლტონი
ჩელსი — ბლექბერნი
ევერტონი — ლივერპული
სიტი — არსენალი
მიდლსბრო — ლიდსი
ნიუკასლი — ბირმინგემი
საუთჰემპტონი — მანჩესტერი
ტოტენჰემი — ფულემი
ვულვზი — პორტსმუთი

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:1 | 9 |
| მანჩესტერი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 9 |
| პორტსმუთი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| სიტი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| ჩელსი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| ბლექბერნი | 3 | 1 | 1 | 1 | 9:6 | 4 |
| ევერტონი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 4 |
| ჩარლტონი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 4 |
| ბირმინგემი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ტოტენჰემი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| საუთჰემპტონი | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 3 |
| ფულემი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | 3 |
| ლიდსი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| ლესტერი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| ლივერპული | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| ნიუკასლი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| ასტონ ვილა | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| მიდლსბრო | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |
| ბოლტონი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:10 | 1 |
| ვულვზი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:10 | 0 |

# ვინ და... არავინ?

**„ბარსელონას“** ახალი ცენტრალური ნახევარმცველის ვინაობა საფეხბურთო სამყაროს სულ მცირე ხანში ეცოდინება. კატალონიელთა თავკაც ხუან ლაპორტას ემისრები გუშინწინ მონაკოში, ჩემპიონთა ლიგის კენჭისყრაზე იმყოფებოდნენ და, ესპანურ „მარკას“ თუ დავუჯერებთ, რამდენიმე სახელიან მობურთალთან ფრიად აქტიურ სატრანსფერო მოლაპარაკებას აწარმოებდნენ. კირკიტა კალმოსნები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ბარსელონელებს მომავალი სავარაუდო ბარსელის სახელი ვერ დააცდენინეს. შეგახსენებთ, რომ ამ ბოლო ხანს განსაკუთრებით ბევრს ლაპარაკობდნენ ჰოლანდიელი „პიტ ბულის“ — ედგარ დავიდსის კატალონიაში გადაბარგებაზე, მაგრამ თავად ფეხბურთელმა გუშინ „მარკას“ განუცხადა: „ბარსელონა“ ჩემი შეძენით შარშანაც იყო დაინტერესებული. მაშინ ყველაზე დიდი შესაძლებლობა მქონდა, იქ გავსულიყავი“.

მოვლენათა განვითარებას დაველოდოთ და ვნახოთ, კატალონიაში ახალთაგან ვინ იბურთავებს, მით უმეტეს, პრეზიდენტ ლაპორტას სატრანსფერო თანხები ჯერ მთლიანად არ დაუხარჯავს. საპრეზიდენტო არჩევნების მარათონისას თავის ამომრჩევლებს ლაპორტა 50 სატრანსფერო მილიონის (ევროებით) დახარჯვას შეპირდა, საიდანაც 43 უკვე მოხმარდა გუნდში ფეხბურთელთა მიყვანას (რონალდინიო 30, მარკესი 5, კვარესმა 7 და ლუის გარსია 1). ვან ბრონკჰორსტი რუშთუ და მარიო კი ან იჯარით, ანდა თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდნენ. ახალწვეულებში სავარაუდოდ პრემიერლიგელი ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკიც მოიაზრებოდა, მაგრამ ფრანკ რაიკარდის თქმით, „ბარსელონას“ თავდასხმას გაძლიერება არ სჭირდება, რამეთუ იქ თავის საქმეს პატრიკ კლუივერტიც კარგად აკეთებს და ამ ეტაპზე პრიმერას გრანდმა ოდენ ნახევარმცველის შეძენისთვის უნდა იზრუნოს.



ფრანკ რაიკარდი

რაიკარდი მის სამწვრთნელო განმგებლობაში მყოფი გუნდით კმაყოფილია და ახალი ტრანსფერების აუცილებლობას დიდად არ განიცდის. „ბარსაში“ ყველა და ყველაფერი საპრიმერო შერკინებისთვის უკვე მზადაა. ალალად გეტყვით — ჩვენი კლუბის შემადგენლობით ნამდვილად არა ვარ უკმაყოფილო — თქვა ფრანკ რაიკარდმა თავის ერთ-ერთ ინტერვიუში. მისთვის, როგორც „ბარსელონას“ მწვრთნელისთვის, მთავარი ამ სეზონში რომელიმე საპატიო ჯილდოს მოპოვებაა. „უკვე ოთხი წელია, არაფერი მოგვიგია და არ ვაპირებთ, დამდეგ პრიმერადივიზიონშიც ასე გავაგრძელოთ“ — მტკიცედ და შეუვალად ბრძანა ფრანკმა. მერე კარლეს პუიოლის გუნდიდან შესაძლო წასვლა-დარჩენაზეც ისაუბრა: „კარლესი ჩვენთვის შეუცვლელია, როგორც ფეხბურთელი და როგორც პიროვნებაც. იგი კატალონიის სიმბოლოა. თავადაც კარგად იცის, კლუბისთვის რაოდენ საჭიროა და ამიტომაც არც ერთ სხვა გუნდში გადასვლას არ აპირებს“.

**ლადო ხომერიკი**

**ფინეთი**

**ვეიკაუსლიგა. XIV ტური**

**ტამპერე 0:1 იარო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰაკა | 17 | 13 | 2 | 2 | 41:6 | 41 |
| ჰიკ | 17 | 10 | 4 | 3 | 32:14 | 34 |
| ტამპერე | 17 | 10 | 3 | 4 | 27:11 | 33 |
| ალიანსი | 16 | 9 | 4 | 3 | 31:21 | 31 |
| მიუპა | 16 | 8 | 3 | 5 | 27:16 | 27 |
| ლაჰტი | 17 | 5 | 6 | 6 | 21:22 | 21 |
| ტურკუ | 17 | 5 | 5 | 7 | 20:24 | 20 |
| იოკერიტი | 17 | 5 | 5 | 7 | 19:23 | 20 |
| იარო | 18 | 4 | 7 | 7 | 22:29 | 19 |
| ჰამენლინა | 17 | 5 | 4 | 8 | 16:33 | 19 |
| ინტერი | 17 | 5 | 3 | 9 | 26:30 | 18 |
| კტპ | 16 | 5 | 1 | 10 | 23:33 | 16 |
| ჯაზი | 17 | 4 | 3 | 10 | 19:42 | 15 |
| კუოპიო | 17 | 3 | 4 | 10 | 20:40 | 13 |

სარბიელი
სამუშაოდ
იწვევს
გაზეთში ნამუშევარ,
გამოცდილ
მბეჭდავ-ოპერატორს
მიღება მოხდება
შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ
„სარბიელის“ რედაქციაში,
ალექსანდრე ყაზბეგის
გამზირი 42, II კორპუსი,
IV სართული, 15-დან 18 საათამდე
ცნობებისთვის დარეკეთ
39-48-29, 93-16-08

სიახლე
საქართველოში!
საუკეთესო ხარისხის სპორტული ფორმის
(ტრუსები, მაისურები) დამზადება გნებავთ,
თქვენი სურვილისამებრ, გნებავთ
თქვენს მიერ კატალოგში შერჩეული ესკიზით

ნომრები სპორტულ
მაისურებზე, წარწერები...
სპორტული ატრიბუტიკა:
დროშები, ვიმპელები...
საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი
ვაჟა ფშაველას 91
53-76-82 899 56-18-49

# იტალია. სერია A. 2003-2004

## გიყვარდეთ და გძულდეთ კალჩო!

*დილით ცოლმა გაგაბრაზათ და არ იცით ჯავრი რაზე იყაროთ? გაგიმართლათ და ეგ არის, დღეს იტალიის ჩემპიონატი იწყება — მოსაწყენი, გაწელილი შეჯიბრება, რომელიც ინტრიგას, რისკსა და სანახაობას მოკლებული თამაშების გროვაა, ფრეების ფაბრიკაა, დაცვის, ანუ ანტიფეხბურთის პროპაგანდაა და მეტი არაფერი. ერთი სიტყვით, თქვენ შეგიძლიათ გული მისი ლანძღვით იჯეროთ, მით უფრო, რომ ეჭვი არ არის, უგემოვნებო ნაცნობ-მეგობართა მთელი ჯგუფიც გალიზიანებთ. ეს ჯგუფი იმდენად შეზღუდულია, რომ სერია A-ს არათუ ფეხბურთს, კარგ ფეხბურთსაც კი უწოდებს. ერთი სიტყვით, მიდით, ნუ მოგერიდებათ, იტალიური კალჩო სწორედ ის არის, რაც გჭირდებათ. მიდით, ახლავე დაიწყეთ*



მარჩელო ლიპი და „იუვენტუსი“ ახალ სეზონშიც სკუდეტოსკენ გაიწევენ

### თქვენ რაღა მოგივიდათ?

ნუთუ ვილაც გოიმმა გვერდით ჩაგიარათ და თვალი ისე აგარიდათ, გეგონება, ის არ იყო, ერთი-ორი წლის წინ დახმარებას რომ გთხოვდათ, მზად იყო მოსამსახურედ დაგდგომოდათ და სიგარეტის ამოღება დამთავრებული არ გქონდათ, ანთებული სანთებელა თქვენი ტუჩების სიმაღლეზე მომარჯვებული რომ ჰქონდა? თუ ასეა და არც თქვენ იცით რაზე იყაროთ ჯავრი, შემოგვიერთდით, დღეს სერია A იწყებს, ყველაზე მომზადებული, განსწავლული გუნდების თავშესაყარი. პირველხარისხოვან კლუბებზე არაფერს ვამბობთ. ნებისმიერ მეორე-მესამეხარისხოვან გუნდში ფიზიკურ-ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადება უმაღლეს დონეზეა, თითოეული, ერთი შეხედვით, არცთუ გამორჩეული ფეხბურთელი თავისი საქმის პროფესიონალი, უბადლო ოსტატია და ნებისმიერი გაპრანჭული ლიგის ამა თუ იმ კლუბს უჯობს ჯერ სერია A-ს საშუალო გუნდთან მოსინჯოს ძალა და მერე მოიწონოს თავი. შემოგვიერთდით, დღეს იტალია იწყებს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ კალჩოს ჩამოთლილ-გაშალაშინებულ სამყაროს ვინმე შეურაცხყოფას თუ მიაყენებს, თქვენ შეგეძლებათ გული იჯეროთ. დაიცავით იტალია და დაამცირეთ სხვები, დღეს დიდი პირველობის სტარტია.

თუმცა ფავორიტები წინა სეზონთან შედარებით არ გამრავლებულან. ისევ „იუვენტუსი“, „მილანი“, „ინტერი“, „რომა“ და „ლაციო“ — რა ცოტაა, ბიჭო! სხვათა შორის, სააგენტო „როიტერის“ წყალობით ამ კლუბებზე იტალიელი სპეციალისტის, ცნობილი მწვრთნელის, ალბერტო ძაკერონის აზრი შეგვიძლია შემოგთავაზოთ. შეგახსენებთ, რომ ძაკერონის კარიერაში ბოლო გუნდები „მილანი“ და „ლაციო“ იყვნენ, ხოლო მისი „მილანში“ მუშაობისას „შავ-წითელი“ მაისურა საქართველოს ნაკრების მცველმა კახა კალაძემ მოირგო.

ძაკერონისეული დახასიათებანი ასეთია:

**„იუვენტუსი“** — ტურინელები ყველა რგოლში გაძლიერდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავი დაცვაში ნიკოლა ლეგროტალიეს, ნახევარდაცვაში სტეფან აპიას და თავდასხმაში ფაბრიციო მიკოლის დამატება გახლავთ, თუმცა მათგან კიდევ საგანგებოდ ნახევარმცველ აპიას გამოვყოფდი. აპია თინეიჯერობისას ჩემთან „უდინეზეში“ თამაშობდა, დებიუტი ჩემს ხელში ჰქონდა და მისი ბრწყინვალე შესაძლებლობი კარგად ვიცი — იმ წელიწადს მესამე ადგილზე გავედით.

ერთი სიტყვით, „იუვე“ რომ იქ, ზემოთ იქნება, ამაში სადავო არაფერია, სხვა არის, რომ ერთი ქულით მეტმა ან ნაკლებმა შესაძლოა ჩემპიონობის და მეორე ადგილის ბედი გადაწყვიტოს, თუმცა ამაზე, აბა, ვინ რას იწინასწარმეტყველებს; ან ასე მოხდება ან ისე.

კლუბი ძალიან კარგადაა ორგანიზებული, მწვრთნელს, მარჩელო ლიპის მხოლოდ ტექნიკური ხასიათის საკითხები აქვს მისახედი. ფეხბურთელები უმაღლესი რანგისანი არიან.

ერთადერთი, რაც შეიძლება ხინჯად მივიჩნიოთ, თავდასხმაში დავიდ ტრეზეგეს შეუცვლელობაა. მეორე თავდამსხმელი მარკო დი ვაიო უფრო ალესანდრო დელ პიეროს შემცვლელია, ხოლო მიკოლი იმავ დელ პიეროსი ან მაურო კამორანეზის. ამრიგად, თუ ტრეზეგე დაშავდება, ლიპის სისტემის შეცვლა მოუწევს, მაგრამ მეორე მხრივ წინა სეზონში იყო ასეთი მომენტი და „იუვემ“ სისტემის შეცვლა უმტკივნეულოდ შეძლო.

დღეს ლიპი ამბობს, რომ დღევანდელი „იუვე“ მის „იუვეთა“ შორის შემადგენლობით უძლიერესია და მეც ვეთანხმები — ტურინელებს წლეულს უკეთესი შემადგენლობა ჰყავთ, ვიდრე წინა ორ სეზონში, როდესაც ჩემპიონები ხდებოდნენ.

**„მილანი“** — ტექნიკური თვალსაზრისით უძლიერესი გუნდია. თუ გასულ სეზონს გადავხედავთ, მოგვაგონდება, რომ მილანელებმა საუკეთესო ფეხბურთი ყველაზე ძლიერ მეტოქეებთან ითამაშეს. გაიხსენეთ თუნდაც მატჩები „რეალთან“ და „ბაიერნთან“, მაგრამ ეს საერთაშორისო დონეზე. სერია A-ში კი „ბოლონიას“ თუ „ემპოლის“ მსგავს გუნდებთან აშკარად რაღაც აკლდათ. ვფიქრობ, ეს სერიოზული პრობლემაა.

მეორე პრობლემა კარში დარტყმების სიმცირეა. ამაზე პასუხისმგებელი ყოველთვის ნახევარდაცვა გახლავთ, რადგან ბოლო პასი ნახევარდაცვის საქმეა.

თავდასმხაში ფილიპო ინძაგი და ანდრეი შევჩენკო არიან სწორუპოვარნი, ოღონდ როდესაც ბურთს „მილანი“ ფლობს. როდესაც ბურთი მეტოქეს აქვს, ისინი მთლად კარგები ველარ არიან, თუმცა მილანელთა მედგარი ნახევარდაცვა და დაცვა ამას უძლებს, იტანს.

მერედა, ეს ორი თავდამსხმელი, ფაქტობრივად, სეზონში 20 გოლის გარანტიას იძლევა, ასეთ პირობებში კი სულ რომ არ გინდოდეს, მაინც გაიმარჯვებ. ხოლო ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ჩემპიონთა ლიგაში მიღწეული წარმატება მილანელებს დიდ დახმარებას გაუწევს. ისინი გაცილებით თავდაჯერებულნი იქნებიან.

**„ინტერი“** — ძალიან გამაოცა ერნან კრესპოს „ჩელსისთვის“ დათმობამ. ობაფემი მარტინსი ნამდვილად ნიჭიერია, მოჰამედ კალონსაც ძლიერი ფეხბურთელი ეთქმის, მაგრამ გოლების გატანაში კრესპოს ვერც ერთი შეედრება და ვერც მეორე, ისინი ვარსკვლავები არ გახლავან. თუმცა, რადგანაც გაჰყიდეს, ალბათ, მიზეზი ჰქონდათ.

გასულ სეზონში „ინტერს“ ნახევარდაცვისა და გარემარბების სტაბილურობამ უღალატა, ზედაც, გუნდმა გაყიდა ნახევარმცველი ლუიჯი დი ბიაჯო, ამიტომ, ვგონებ, კრისტიანო ძანეტის მეწყვილეობას ემრე გაუწევს. თუ გამართლდება ჭორი და „კიევოსგან“ სიმონე პეროტას იყიდიან, მაშინ სტაბილურობის პრობლემა მნიშვნელოვნად შეუმსუბუქდებათ.

დაცვაში „ინტერს“ არაფერი უჭირს. ერთადერთი, მარცხნივ, ფრანჩესკო კოკოს თუ გადააზღვევენ მაინც...

**„რომა“** — ვფიქრობ სერია A-ს უძლიერესი ნახევარდაცვა „რომაშია“: ოლივიე დაკური, ემერსონი და ფრანჩესკო ტოტი. განა ამ რგოლში ვინმე გაუწევს კონკურენციას?

ხიფათს სხვაგან ვხედავ: გაზეთებში ნიადაგ ვკითხულობ, რომ მწვრთნელის, ფაბიო კაპელოს და პრეზიდენტის, ფრანკო სენსის ურთიერთობა მთლად იდეალური არ არის. ამან შეიძლება ცუდი შედეგი მოიტანოს.

| 20.30 | 441 | ტურკუ-ჰაამეენლინა | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| | | **1 სექტემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 442 | ჰაკა-იარო | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 443 | ჰაკა-იარო 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 20.30 | 444 | ინტერი-ლაჰტი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 20.30 | 445 | იოკერიტი-მიუპა | 3,0 | 3,4 | 2,15 | 1,59 | 1,25 | 1,31 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **თურქეთი. სუპერლიგა. IV ტური** | | | | | | |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 19.00 | 477 | ელაზიგი-ალანა | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 21.00 | 478 | მალატია-სამსუნი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 21.00 | 479 | დიარბაქირი-ფენერბაჩე | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |
| 21.00 | 480 | გაზიანთეფი-კონია | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| | | **31 აგვისტო** | | | | | | |
| 19.00 | 481 | ისთანბულ-რიზე | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 21.00 | 482 | ტრაბზონი-სებათი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 483 | ტრაბზონი-სებათი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 21.00 | 484 | გალათასარაი-გენჩლერბირლიგი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 485 | გალათასარაი-გენჩლერბირლიგი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 21.00 | 486 | ანკარაგუჯუ-ბურსა | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| | | **ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა. VI ტური** | | | | | | |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 17.25 | 510 | სპარტა-სლავია | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 20.15 | 511 | ტეპლიცე-სინოტი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 512 | ტეპლიცე-სინოტი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 20.15 | 513 | პრჟიბრამი-ბუდეიოვიცე | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| | 514 | პრჟიბრამი-ბუდეიოვიცე 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 20.15 | 515 | სიგმა-ოპავა | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 20.15 | 516 | ბრნო-ბლშანი | 1,25 | 5,3 | 9,0 | 1,01 | 1,09 | 3,33 |
| 20.15 | 517 | ბანიკი-პლზენი | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| | 518 | ბანიკი-პლზენი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| | | **1 სექტემბერი** | | | | | | |
| 19.40 | 519 | იაბლონეცი-ლიბერეცი | 2,7 | 3,0 | 2,5 | 1,42 | 1,29 | 1,36 |
| 20.15 | 520 | ზლინი-ჟიჟკოვი | 2,45 | 3,0 | 2,8 | 1,34 | 1,3 | 1,44 |
| | | **პოლონეთი. I ლიგა. IV ტური** | | | | | | |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 20.00 | 558 | სვიტი-გურნიკი | 3,5 | 3,2 | 2,0 | 1,67 | 1,27 | 1,23 |
| 21.15 | 559 | ამიკა-ვისლა | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 22.00 | 560 | ვიძევი-ლეჩნა | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| | | **31 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 561 | კატოვიცე-ოდრა | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 20.00 | 562 | გროცლინი-პოლონია | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 563 | გროცლინი-პოლონია 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 20.00 | 564 | პლოცკი-პოლკოვიცე | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **30 აგვისტო** | | | |
| 16.30 | 5510 | ევერტონი-ლივერპული | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5511 | ასტონ ვილა-ლესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5512 | ბოლტონი-ჩარლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5513 | ჩელსი-ბლექბერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5514 | მიდლსბრო-ლიდსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5515 | ნიუკასლი-ბირმინგემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5516 | ტოტენჰემი-ფულემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5517 | ვულვერჰემპტონი-პორტსმუთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 5518 | რეჯინა-სამპდორია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **31 აგვისტო** | | | |
| 18.00 | 5519 | საუთჰემპტონი-მანჩესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.05 | 5520 | სიტი-არსენალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5521 | ბრეშა-კიევო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5522 | ინტერი-მოდენა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5523 | იუვენტუსი-ემპოლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5524 | ლაციო-ლეჩე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5525 | პერუჯა-სიენა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5526 | უდინეზე-რომა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 5527 | ბოლონია-პარმა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 5528 | ვალენსია-ვალიადოლიდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 5529 | სევილია-ატლეტიკო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 5530 | ალბასეტე-ოსასუნა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 5531 | მალაგა-ვილიარეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 5532 | რეალი-ბეტისი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 5533 | ესპანიოლი-სოსიედადი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 5534 | სელტა-მურსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 5535 | რასინგი-მალიორკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 5536 | სარაგოსა-დეპორტივო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 5537 | ბილბაო-ბარსელონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **1 სექტემბერი** | | | |
| 23.30 | 5538 | ანკონა-მილანი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **30 აგვისტო** | | |
| 16.30 | 5310 | ევერტონი-ლივერპული | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 5311 | ასტონ ვილა-ლესტერი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 5312 | ბოლტონი-ჩარლტონი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 5313 | ჩელსი-ბლექბერნი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 5314 | მიდლსბრო-ლიდსი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 5315 | ნიუკასლი-ბირმინგემი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 5316 | ტოტენჰემი-ფულემი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 5317 | ვულვერჰემპტონი-პორტსმუთი | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 5318 | რეჯინა-სამპდორია | 1,75 | 1,85 |
| | | **31 აგვისტო** | | |
| 18.00 | 5319 | საუთჰემპტონი-მანჩესტერი | 1,7 | 1,9 |
| 20.05 | 5320 | სიტი-არსენალი | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 5321 | ბრეშა-კიევო | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 5322 | ინტერი-მოდენა | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 5323 | იუვენტუსი-ემპოლი | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 5324 | ლაციო-ლეჩე | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 5325 | პერუჯა-სიენა | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 5326 | უდინეზე-რომა | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 5327 | ბოლონია-პარმა | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 5328 | ვალენსია-ვალიადოლიდი | 1,75 | 1,85 |
| 21.00 | 5329 | სევილია-ატლეტიკო | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 5330 | ალბასეტე-ოსასუნა | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 5331 | მალაგა-ვილიარეალი | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 5332 | რეალი-ბეტისი | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 5333 | ესპანიოლი-სოსიედადი | 1,65 | 1,95 |
| 21.00 | 5334 | სელტა-მურსია | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 5335 | რასინგი-მალიორკა | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 5336 | სარაგოსა-დეპორტივო | 1,65 | 1,95 |
| 21.00 | 5337 | ბილბაო-ბარსელონა | 1,65 | 1,95 |
| | | **1 სექტემბერი** | | |
| 23.30 | 5338 | ანკონა-მილანი | 1,75 | 1,85 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **30 აგვისტო** | | |
| 16.30 | 5410 | ევერტონი-ლივერპული | 1,9 | 1,9 |
| 19.00 | 5411 | ასტონ ვილა-ლესტერი | 1,6 | 2,4 |
| 19.00 | 5412 | ბოლტონი-ჩარლტონი | 1,8 | 2,0 |
| 19.00 | 5413 | ჩელსი-ბლექბერნი | 1,3 | 3,4 |
| 19.00 | 5414 | მიდლსბრო-ლიდსი | 1,8 | 2,0 |
| 19.00 | 5415 | ნიუკასლი-ბირმინგემი | 1,35 | 3,2 |
| 19.00 | 5416 | ტოტენჰემი-ფულემი | 1,55 | 2,5 |
| 19.00 | 5417 | ვულვერჰემპტონი-პორტსმუთი | 1,9 | 1,9 |
| 21.00 | 5418 | რეჯინა-სამპდორია | 1,8 | 2,0 |
| | | **31 აგვისტო** | | |
| 18.00 | 5419 | საუთჰემპტონი-მანჩესტერი | 2,6 | 1,5 |
| 20.05 | 5420 | სიტი-არსენალი | 2,3 | 1,65 |
| 18.00 | 5421 | ბრეშა-კიევო | 1,8 | 2,0 |
| 18.00 | 5422 | ინტერი-მოდენა | 1,2 | 4,0 |
| 18.00 | 5423 | იუვენტუსი-ემპოლი | 1,15 | 4,4 |
| 18.00 | 5424 | ლაციო-ლეჩე | 1,25 | 3,6 |
| 18.00 | 5425 | პერუჯა-სიენა | 1,45 | 2,8 |
| 18.00 | 5426 | უდინეზე-რომა | 1,9 | 1,9 |
| 23.30 | 5427 | ბოლონია-პარმა | 1,8 | 2,0 |
| 21.00 | 5428 | ვალენსია-ვალიადოლიდი | 1,25 | 3,6 |
| 21.00 | 5429 | სევილია-ატლეტიკო | 1,8 | 2,0 |
| 21.00 | 5430 | ალბასეტე-ოსასუნა | 1,8 | 2,0 |
| 21.00 | 5431 | მალაგა-ვილიარეალი | 1,75 | 2,1 |
| 21.00 | 5432 | რეალი-ბეტისი | 1,25 | 3,6 |
| 21.00 | 5433 | ესპანიოლი-სოსიედადი | 1,9 | 1,9 |
| 21.00 | 5434 | სელტა-მურსია | 1,3 | 3,4 |
| 21.00 | 5435 | რასინგი-მალიორკა | 1,85 | 1,95 |
| 21.00 | 5436 | სარაგოსა-დეპორტივო | 2,0 | 1,8 |
| 21.00 | 5437 | ბილბაო-ბარსელონა | 1,9 | 1,9 |
| | | **1 სექტემბერი** | | |
| 23.30 | 5438 | ანკონა-მილანი | 2,6 | 1,5 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 16.30 | 5010 | ევერტონი-ლივერპული | 3,1 | 2,1 | 3,1 | 1,25 | 1,55 | 1,25 |
| 19.00 | 5011 | ასტონ ვილა-ლესტერი | 2,15 | 2,15 | 5,0 | 1,07 | 1,5 | 1,5 |
| 19.00 | 5012 | ბოლტონი-ჩარლტონი | 2,6 | 2,1 | 3,6 | 1,16 | 1,5 | 1,32 |
| 19.00 | 5013 | ჩელსი-ბლექბერნი | 1,8 | 2,35 | 6,0 | 1,01 | 1,38 | 1,68 |
| 19.00 | 5014 | მიდლსბრო-ლიდსი | 2,6 | 2,1 | 3,6 | 1,16 | 1,5 | 1,32 |
| 19.00 | 5015 | ნიუკასლი-ბირმინგემი | 1,9 | 3,3 | 5,6 | 1,2 | 1,41 | 2,07 |
| 19.00 | 5016 | ტოტენჰემი-ფულემი | 2,1 | 2,2 | 5,0 | 1,07 | 1,47 | 1,52 |
| 19.00 | 5017 | ვულვერჰემპტონი-პორტსმუთი | 3,1 | 2,1 | 3,1 | 1,25 | 1,55 | 1,25 |
| 21.00 | 5018 | რეჯინა-სამპდორია | 2,7 | 2,05 | 3,6 | 1,16 | 1,54 | 1,3 |
| | | **31 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 5019 | საუთჰემპტონი-მანჩესტერი | 5,0 | 2,25 | 2,05 | 1,55 | 1,45 | 1,07 |
| 20.05 | 5020 | სიტი-არსენალი | 4,2 | 2,2 | 2,3 | 1,44 | 1,48 | 1,12 |
| 18.00 | 5021 | ბრეშა-კიევო | 2,9 | 2,05 | 3,4 | 1,2 | 1,56 | 1,27 |
| 18.00 | 5022 | ინტერი-მოდენა | 1,45 | 3,3 | 7,5 | 1 | 1,21 | 2,29 |
| 18.00 | 5023 | იუვენტუსი-ემპოლი | 1,35 | 3,6 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,48 |
| 18.00 | 5024 | ლაციო-ლეჩე | 1,6 | 2,9 | 6,5 | 1,03 | 1,28 | 2 |
| 18.00 | 5025 | პერუჯა-სიენა | 2,0 | 2,2 | 5,6 | 1,04 | 1,47 | 1,57 |
| 18.00 | 5026 | უდინეზე-რომა | 3,2 | 2,05 | 3,1 | 1,24 | 1,57 | 1,23 |
| 23.30 | 5027 | ბოლონია-პარმა | 2,8 | 2,05 | 3,5 | 1,18 | 1,55 | 1,29 |
| 21.00 | 5028 | ვალენსია-ვალიადოლიდი | 1,7 | 2,6 | 6,0 | 1,02 | 1,32 | 1,81 |
| 21.00 | 5029 | სევილია-ატლეტიკო | 2,7 | 2,1 | 3,5 | 1,18 | 1,52 | 1,31 |
| 21.00 | 5030 | ალბასეტე-ოსასუნა | 2,8 | 2,1 | 3,4 | 1,19 | 1,53 | 1,29 |
| 21.00 | 5031 | მალაგა-ვილიარეალი | 2,7 | 2,1 | 3,5 | 1,18 | 1,52 | 1,31 |
| 21.00 | 5032 | რეალი-ბეტისი | 1,6 | 2,8 | 7,0 | 1,01 | 1,3 | 2 |
| 21.00 | 5033 | ესპანიოლი-სოსიედადი | 3,1 | 2,1 | 3,1 | 1,25 | 1,55 | 1,25 |
| 21.00 | 5034 | სელტა-მურსია | 1,85 | 2,4 | 5,6 | 1,04 | 1,39 | 1,68 |
| 21.00 | 5035 | რასინგი-მალიორკა | 2,9 | 2,1 | 3,3 | 1,21 | 1,54 | 1,28 |
| 21.00 | 5036 | სარაგოსა-დეპორტივო | 3,5 | 2,1 | 2,7 | 1,31 | 1,52 | 1,18 |
| 21.00 | 5037 | ბილბაო-ბარსელონა | 3,1 | 2,1 | 3,1 | 1,25 | 1,55 | 1,25 |
| | | **1 სექტემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 5038 | ანკონა-მილანი | 5,3 | 2,15 | 2,1 | 1,52 | 1,5 | 1,06 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **30 აგვისტო** | | |
| 16.30 | 5210 | ევერტონი-ლივერპული | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 5211 | ასტონ ვილა-ლესტერი | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 5212 | ბოლტონი-ჩარლტონი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 5213 | ჩელსი-ბლექბერნი | 2,0 | 1,6 |
| 19.00 | 5214 | მიდლსბრო-ლიდსი | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 5215 | ნიუკასლი-ბირმინგემი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 5216 | ტოტენჰემი-ფულემი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 5217 | ვულვერჰემპტონი-პორტსმუთი | 1,9 | 1,7 |
| 21.00 | 5218 | რეჯინა-სამპდორია | 1,7 | 1,9 |
| | | **31 აგვისტო** | | |
| 18.00 | 5219 | საუთჰემპტონი-მანჩესტერი | 1,95 | 1,65 |
| 20.05 | 5220 | სიტი-არსენალი | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 5221 | ბრეშა-კიევო | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 5222 | ინტერი-მოდენა | 2,0 | 1,6 |
| 18.00 | 5223 | იუვენტუსი-ემპოლი | 2,0 | 1,6 |
| 18.00 | 5224 | ლაციო-ლეჩე | 2,0 | 1,6 |
| 18.00 | 5225 | პერუჯა-სიენა | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 5226 | უდინეზე-რომა | 1,8 | 1,8 |
| 23.30 | 5227 | ბოლონია-პარმა | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 5228 | ვალენსია-ვალიადოლიდი | 1,8 | 1,8 |
| 21.00 | 5229 | სევილია-ატლეტიკო | 1,8 | 1,8 |
| 21.00 | 5230 | ალბასეტე-ოსასუნა | 1,8 | 1,8 |
| 21.00 | 5231 | მალაგა-ვილიარეალი | 1,8 | 1,8 |
| 21.00 | 5232 | რეალი-ბეტისი | 2,2 | 1,5 |
| 21.00 | 5233 | ესპანიოლი-სოსიედადი | 1,85 | 1,75 |
| 21.00 | 5234 | სელტა-მურსია | 1,9 | 1,7 |
| 21.00 | 5235 | რასინგი-მალიორკა | 1,8 | 1,8 |
| 21.00 | 5236 | სარაგოსა-დეპორტივო | 1,85 | 1,75 |
| 21.00 | 5237 | ბილბაო-ბარსელონა | 1,9 | 1,7 |
| | | **1 სექტემბერი** | | |
| 23.30 | 5238 | ანკონა-მილანი | 1,8 | 1,8 |

| | | 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **30 აგვისტო** | | | | | | | | | |
| 16.30 | 5110 | ევერტონი-ლივერპული | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 19.00 | 5111 | ასტონ ვილა-ლესტერი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 19.00 | 5112 | ბოლტონი-ჩარლტონი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 19.00 | 5113 | ჩელსი-ბლექბერნი | 1,9 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 19.00 | 5114 | მიდლსბრო-ლიდსი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 19.00 | 5115 | ნიუკასლი-ბირმინგემი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 19.00 | 5116 | ტოტენჰემი-ფულემი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 19.00 | 5117 | ვულვერ.-პორტსმუთი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 21.00 | 5118 | რეჯინა-სამპდორია | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| | | **31 აგვისტო** | | | | | | | | | |
| 18.00 | 5119 | საუთჰემპ.-მანჩესტერი | 8,0 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 4,6 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,3 |
| 20.05 | 5120 | სიტი-არსენალი | 5,6 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,6 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 18.00 | 5121 | ბრეშა-კიევო | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 18.00 | 5122 | ინტერი-მოდენა | 1,5 | 20,0 | 40,0 | 3,5 | 5,6 | 17,0 | 35,0 | 17,0 | 17,0 |
| 18.00 | 5123 | იუვენტუსი-ემპოლი | 1,4 | 25,0 | 50,0 | 3,5 | 6,0 | 20,0 | 40,0 | 20,0 | 20,0 |
| 18.00 | 5124 | ლაციო-ლეჩე | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 18.00 | 5125 | პერუჯა-სიენა | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 18.00 | 5126 | უდინეზე-რომა | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 23.30 | 5127 | ბოლონია-პარმა | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 21.00 | 5128 | ვალენსია-ვალიადოლიდ. | 1,8 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 21.00 | 5129 | სევილია-ატლეტიკო | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 21.00 | 5130 | ალბასეტე-ოსასუნა | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 21.00 | 5131 | მალაგა-ვილიარეალი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 21.00 | 5132 | რეალი-ბეტისი | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 14,0 | 25,0 | 14,0 | 14,0 |
| 21.00 | 5133 | ესპანიოლი-სოსიედადი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 21.00 | 5134 | სელტა-მურსია | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 21.00 | 5135 | რასინგი-მალიორკა | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 21.00 | 5136 | სარაგოსა-დეპორტივო | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 21.00 | 5137 | ბილბაო-ბარსელონა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| | | **1 სექტემბერი** | | | | | | | | | |
| 23.30 | 5138 | ანკონა-მილანი | 8,0 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 4,6 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,4 |

კროკოს დიდუბის ბიურო (წერეთლის გამზირი, კორპუსი № 11) 1 სექტემბრიდან ორშაბათობითაც იმუშავებს



ზაზა ქასაშვილი: ფული ჩვენია

# RUGBYHEAVEN: რუდილიმ ქართველების ფული შეჭამა

## ქასაშვილი: რუდილის ჩვენს ფულს ვინ შეაჭმევინებს?!

*ავსტრალიური და ფრანგული საინფორმაციო საშუალებები ამ ბოლო დღეებში საგანგებო ყურადღებას იჩენენ საქართველოს ნაკრებისადმი. იქაური სარაგბო ვებ-გვერდები აჭრელებულია ცნობებით, თითქოს გალატაკებული საქართველოს რაგბის კავშირი ნაკრებს ავსტრალიაში ვერ უშვებს და ყველაზე მთავარი — რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) მიერ მსოფლიოს თასზე მონაწილეობისთვის ქართველებისთვის ნაფეშქაშარი 150 ათასი გირვანქა სტერლინგი ჩვენებმა არამიზნობრივად დახარჯეს*

**ერთ-ერთ** ავსტრალიური სარაგბო საიტი იმ პიროვნებასაც „ამხელს“, ვინც ეს ფული „გაფლანგა“. ეს კაცი ნაკრების ფიზმომზადების მწვრთნელი ტიერი რუდილია, რომელიც ავსტრალიელებმა რატომღაც ნაკრების მენეჯერად მოიხსენიეს. შესაძლოა იმიტომ, რომ ბო-რჯღალოსნებმა სავიზო პრობლემების გამო სწორედ რუდილი მიავლინეს ავსტრალიაში მსოფლიოს თასის მონაწილეთა წარმომადგენლების კრებაზე.

ცნობილ ავსტრალიურ ვებ-გვერდზე „რაგბიჰევენზე“ ვკითხულობთ: „მსოფლიოს თასზე საქართველოს მონაწილეობა სათუო გახდა მას შემდეგ, რაც „ლელოთა“ ფრანგი მენეჯერი ტიერი რუდილი ამ მაისში სიდნეიში იყო მივლინებული მსოფლიოს თასის მონაწილეთა წარმომადგენლების კრებაზე. კრებაში მონაწილეობის ნაცვლად რუდილი ქვეყნის ღირსშესანიშნაობებს ათვალიერებდა. ფრანგმა მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთ კრებაში და აიღო 194 ათასი დოლარის ჩეკი. ეს ფული საქართველოს, როგორც მსოფლიოს თასის მონაწილეს, IRB-მ გამოუყო და საქართველოს ნაკრებზევე უნდა დახარჯულიყო, მაგრამ, როგორც გაირკვა, დაიხარჯა სასტუმროებში და ავიაბილეთებში.“

სიტუაციაში უკეთ გასარკვევად და სიმართლის შეძლებისდაგვარად დასადგენად გუშინ საფრანგეთში მცხოვრებ საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტ ზაზა ქასაშვილს დავუკავშირდით, რომელიც მეტწილად განაგებს კიდეც ნაკრების ფინანსებს:

— ყველაფრის კურსში ვარ. რუდილი მართლაც იყო გაგზავნილი კუთვნილი ფულის ასაღებად, ოღონდ IRB-ს მიერ გამოყოფილი 150 ათასი გირვანქა სტერლინგიდან მხოლოდ მესამედი აიღო. დავაზუსტებ, ეს თანხა ხელზე ან რაიმე ჩეკით არ მიგვიღია. თანხა კავშირის ანგარიშზე გადმოირიცხა. ასე რომ, რუდილის რომც ნდომოდა, კაპიკსაც ვერ „მოიპარავდა“.

**— რაში დაიხარჯა ეს ფული?**

— წლეულს საქართველოს რაგბის კავშირს ევროპის ერთა თასზე ნაკრების ტრანსპორტირების და ცხოვრების თანხები არ ჰქონდა. თანხა სპორტის სახემწიფო დეპარტამენტს უნდა გამოეყო, მაგრამ მას ეს ფული არ აღმოაჩნდა, რის გამოც რაგბის კავშირს ვალი დაედო. ამ ვალს დაფარვა სჭირდებოდა. კავშირმა ჩვენამდე ჯერჯერობით მოსული 50 ათასი გირვანქით სწორედ ეს ვალი დაფარა, რის შესახებაც რაგბის საერთაშორისო საბჭოს აცნობა. მე ველაპარაკე სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს ირაკლი მეძმარიაშვილს, რომელიც დამპირდა, რომ სექტემბრისთვის შეეცდება, ნაკრებისთვის თანხა გამოძებნოს. ნაკრებს სადღეისოდაც სჭირდება ფული შეკრების დასაფინანსებლად. ამიტომ ვთხოვეთ რაგბის საერთაშორისო საბჭოს, რომ კუთვნილი თანხიდან კიდევ 50 ათასი გირვანქა გადმოგვირიცხოს. რაც შეეხება დარჩენილ 50 ათასს, ამ ფულს ნაკრები მხოლოდ ავსტრალიაში ჩასვლის შემდეგ მიიღებს.

**არჩილ ჭუმბურიძე**



უცხოელთაგან ექვემიტანილი ტიერი რუდილო



ლევან ცაბაძეს მხრეში გამართვის იმედი კიდევ აქვს

# ლევან ცაბაძეს ჭანჭიკი მოსძვრა

## უბრალოდ კი არა, ნატვრისა

*იმედი იმისა, რომ საქართველოს ნაკრების ექსკაპიტანი და შერკინების ბურჯი ლევან ცაბაძე მსოფლიოს თასზე ითამაშებს, ჯერ კიდევ არსებობს. მხარზე და ორივე საზარდულზე ნაოპერაციები „ლეონსიო“ ახლა კი ვარჯიშობს, მაგრამ შეიძლება ისევ საოპერაციო გახდეს. ფრანგი ქირურგები საბოლოო სიტყვას ორშაბათს იტყვიან და თუ ცაბაძე სკალპერს ვერ ასცდება, მაშინ მსოფლიოს თასზე თამაშის ოცნება, საბოლოოდ ოცნებადვე დაურჩება*

— გაჭირვებულ კაცს ქვა ალმართში დაეწევაო, ისეა ჩემი საქმე — გვითხრა ლევან ცაბაძემ, გუშინ მონფერანში რომ დავუკავშირდით — დღეში შვიდ საათს ვვარჯიშობ, თავს ვიკლავ, ფორმაში რომ ჩავდგე და უცებ, თითქოს დათარსული ვიყო, გაირკვა, რომ ჭანჭიკი, რითიც ნაოპერაციები მხარი მქონდა დამაგრებული, მომძვრალა.

**— მაგ დაკარგულ ჭანჭიკს რა ეშველება?**

— ორშაბათს პარიზში მივფრინავ. იქაურ ქირურგს უნდა გავესინჯო. მონფერანელი ექიმები მაძალებენ, რომ ისევ ოპერაცია გავიკეთო, მაგრამ მე ეს არ მინდა. ოპერაცია თუ გავიკეთე, მაშინ მსოფლიოს თასზე კი არა, სამი-ოთხი თვე ველარ ვითამაშებ. მირჩიეს, პარიზში ერთ-ერთ ცნობილ ქირურგს მივაკითხო, ეგებ მან მაინც გამიმაგროს მხარი.

**— გამოდის, საბოლოო პასუხი ორშაბათს გეცოდინება.**

— ჰა-ჰა, ორი-სამი დღით დაგვიანდეს ექიმების პასუხი.

**— ფრანგულ პრესაში გაჩნდა ცნობა, რომ შენ, ტარიელ რატიანიძემ, დავით ხინჩაგაშვილმა, სოსო ნიკოლაენკომ და მამუკა მაგრაქველიძემ ნაკრებში თამაში იუარეთ.**

— ვიცი ეგ ამბავი. მეც წავიკითხე დღევანდელ „ეკიპში“.

**— მერე, სიმართლეა?**

— ნაწილობრივ. ჩემზე გეტყვი, რომ ნაკრებში თამაშზე უარი არ მითქვამს. პირიქით, „მონფერანის“ მწვრთნელთან ალან იარდესთან ერთად დავურეკე კლოდ სორელს და ავუხსენით ჩემი სიტუაცია. კლოდმა გაიკვირვა, მე ეგეთი ინფორმაცია პრესისთვის არ მიმიწოდებიაო. თუ საოპერაციო არ ვიქენი, ნაკრებს იტალიაში შევუერთდები და შეიძლება, მსოფლიოს თასზეც ვითამაშო. რაც შეეხება ხინჩაგაშვილს, რატიანიძეს, ნიკოლაენკოსა და მაგრაქველიძეს, ისინი მართლაც თავისი ნებით არ მიდიან ავსტრალიაში. ხინჩაგაშვილს და ნიკოლაენკოს თავიანთ კლუბებთან შეთანხმება ჰქონდათ, რომ კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში მსოფლიოს თასზე არ წავიდოდნენ. ასეც მოხდა.

მაგრაქველიძე კი სორელზე ნაწყენია. გახსოვთ ალბათ სტიმულატორების ამბავი. მაშინ ნაკრების უფროსობა მამუკას გვერდში არ დაუდგა. ხოლო რატიანიძეს ოჯახური პრობლემები აქვს. რამდენად მართებულია მათი გადაწყვეტილება, ეს ჩემი საქმე არ არის.

**ბაჩო სვანიძე**



ენდრიუ მერთენსი

# მორჩა, დაიმსხვრა იმედი ძველთა

## ლომუ და მერთენსი ოცნებისგარეში დარჩნენ

**ახალი ზელანდიის** ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჯონ მიჩელმა იმ 30 მორაგბის ვინაობა დაასახელა, რომლებიც ავსტრალიაში მსოფლიოს თასზე წაიყვანს. რჩეულთა შორის არ არიან ზელანდიური რაგბის ლეგენდები ჯონა ლომუ და ენდრიუ მერთენსი. გასული სეზონი ორივემ ავადმყოფობისა და ტრავმების გამო გამოტოვა.

ჯონა ლომუს, რომელსაც ნაკრებში 63 მატჩი ჩაუტარებია და 37 ლელო გაუტანია, 1996 წლის მერე აწუხებს თირკმელები. იმის იმედით, რომ ავსტრალიაში წასვლას შეძლებდა, მთაკაცი ორ თვეს დიალიზს იკეთებდა და ველინგტონის პროვინციის ნაკრებში ამხანაგური მატჩის ერთი ტაიმიც ითამაშა. მაგრამ ამის შემდეგ მას კოჭი ასტკივდა და ვარჯიშს თავი მიანება. ლომუმ იოლად გაუგო ჯონ მიჩელს, რომელმაც მას ნაკრებში ალარ დაუძახა. ლომუმ „კივებს“ სამი ერის და ბლედისლოუს თასის მოგება მიულოცა და ავსტრალიისაკენ გზა დაულოცა.

რაც შეეხება ენდრიუ მერთენსს, ისიც მთელი წლის განმავლობაში კოჭის ტრავმას მკურნალობდა, და ზე-12-ის ფინალში თამაშის მიუხედავად, მიჩელისათვის სასურველ ფორმაში ვერ ჩადგა.

მსოფლიოს თასისთვის შერჩეულ 30 კაცში მხოლოდ კორი ფლინია ახალბედა. იგი კრაისტჩერჩის პროვინციის ნაკრებში ჰუკერად თამაშობს. „კივებს“ მოედანზე ძველი კაპიტანი რუბენ სორნი შეუძღვება.

### ახალი ზელანდია მსოფლიოს თასზე

**შერკინება:** როდნი სოიალო, ჯერი კოლინსი, რიჩი მაკქოუ, მარტინ ჰოლა, დანიელ ბრაიდი, რუბენ სორნი, ბრედ სორნი, ალი ვილიამსი, კრის ჯეკი, კრის მუსი, გრეგ სამერვილი, დეივ ჰიუეტი, კარლ ჰიფტი, მარკ ჰემეტი, კევენ მეალამუ, კორი ფლინი

**უკანა ხაზი:** მილს მულიაინა, ლეონ მაკდონალდი, ბენ ბლერი, დაგ ჰოულეტი, ჯო როკოკოკო, ქეილებ რალფი, მაა ნონუ, ტანა უმაგა, აარონ მეიჯერი, დანიელ კარტერი, კარლოს სპენსერი, ბაირონ კელეჰერი, სტივ დივაინი, ჯასტინ მარშალი



ჯონა ლომუ

# თსუ ამერიკიდანაც შეივსო: მაიკლი ჩამოვიდა

*თსუ — დაარსების დღიდან საშუალო გაქანების გუნდი, როგორც ჩანს, მომავალ სეზონშიც ვერ მოკრეფს ვარსკვლავებს. სტუდენტებმა რამდენიმე წამყვანი მოთამაშე კი შეინარჩუნეს, მაგრამ შევსება ვერ მიიღეს ისეთი, მე-13 ეროვნულის ჩემპიონობა რომ დაგეგმონ*



აქამდე მეტოქეები, ლევან ქარაბაკი (ბურთით) და ზურაბ ჩუბინიძე ალბათ თსუ-ში დამობილდებიან

სახელმწიფო უნივერსიტეტელებმა ძველი გუნდიდან ხუთი კალათბურთელი დაიტოვეს — გამოცდილი ამირანი ორმოცაძე, ვალერი კილაძე, ირაკლი მაისურაძე, დავით ზანგურაშვილი და ზურაბ სანიკიძე. თსუ-ში ბოლო სეზონში მოთამაშე მამუკა ტურაშვილმა კი, როგორც ვიუწყებოდით, ახლადანიშნული მთავარი მწვრთნელის, გია ჯავახიშვილის თანაშემწეობა იკისრა.

სტუდენტებმა ვარჯიში 18 აგვისტოდან დაიწყეს ბავშვთა საკალათბურთო აკადემიაში, რაკი სახელმწიფო უნივერსიტეტის დარბაზში ახლა სარემონტო სამუშაოები გახურებულა.

„ჩვენ დიდი ამბიციები არ გვექნება. თუ რამდენიმე მოთამაშეს არ ჩავთვლით, შეიძლება ითქვას, ახალგაზრდული გუნდი გვეყოლება“ — ამბობს თსუ-ს თავკაცი გია ჯავახიშვილი.

გუნდის ახალწვეულები ახალგაზრდები არიან. „აკადემის“ მარჯვე ბიჭებმა — ბესიკ ლეჟავამ, ნოდარ ბექაურმა და დავით გვიმრაძემ წლეულს უნივერსიტეტში ჩააბარეს და, ცხადია, ამ სასწავლებლის საკალათბურთო გუნდის ღირსებას დაიცავენ.

თსუ-ს მაისურას მორიგებს სხუელი თინეიჯერი დავით მურჯიკნელიც, ხოლო ცინცხალი დანამატი სტუდენტებს ახლახან ამერიკიდან ჩამოუვიდათ. 1983 წელს დაბადებული მიხეილ ფანჩულიძე ორი წლის წინ ოკეანგაღმა წავიდა სასწავლებლად და კოლეჯის საკალათბურთო გუნდის აქტიური წევრიც გახლდათ.

თსუ-ელთა სატრანსფერო სამიზნეში ამოღებულ კალათბურთელებზეც ვთქვათ. თითქმის მიღწეულია შეთანხმება ლევან ქარაბაკთან, რომელიც ბოლო სეზონში „ბასკოში“ თამაშს ისე მოუქანცავს, ერთი-ორი კვირა დასვენებასა და მკურნალობას საჭიროებს.

„ქარაბაკს გუშინ ველაპარაკე და ჩვენი პირობები გავაცანი. მას უარი არ უთქვამს, მაგრამ, ჯერ ვერ შემოგიერთდებით, დასვენება მჭირდებაო. ქარაბაკის თსუ-ში ჩარიცხვის საკითხი საბოლოოდ ალბათ ორ კვირაში გაირკვევა“ — გვითხრა გია ჯავახიშვილმა.

სტუდენტები მოლაპარაკებას აწარმოებენ „დინამოდან“ წასულ ზურაბ ჩუბინიძესთანაც და იმედი აქვთ, რომ თსუ-ში თამაშზე დაიყოლიებენ.

ყველაზე ტკბილ სატრანსფერო ლუკმად კი თსუ-ელებს ექსბასკოელი ცენტრი კახა შენგელია უჩანთ, მაგრამ, თუ უნივერსიტეტის შეფობამ დამატებითი თანხები არ გამოგვიყო, ასეთი შემძლე კალათბურთელის ყოლას ვერაფრით შევძლებთო, ვარაუდობენ სტუდენტები.

**ირაკლი პერტაია**

# არ გახსნა არგენტინის ზოთლი: ემანდ, მანუ ჯინი არ ამოფრინდეს!

**პუერტო რიკოში** დასრულდა ათენის საოლიმპიადო შესარჩევი ტურნირის ჯგუფური ეტაპი დასავლეთ ნახევარსფეროს მოწინავე რვა გუნდს შორის. გაირკვა, რომ ამერიკის, არგენტინის, კანადისა და პუერტო რიკოს ნაკრებთა შორის ერთი უნდა დარჩეს უათენოდ. პლეი ოფის ნახევარფინალურ მატჩებში სწორედ ეს გუნდები დაწყვილდნენ.

ბოლო ტურს აზრი დაჰკარგვოდა, რაკი ხსენებულ ოთხეულს მანამდე გაენაღდებინა ნახევარფინალის საგზურები. თუმცაღა იმის თეორიული შანსიც არსებობდა, ოთხეულში არგენტინელთა ნაცვლად მექსიკელები შემძვრალიყვნენ. საამისოდ ორი პირობა უნდა შესრულებულიყო: არგენტინელებს დომინიკელებთან წაეგოთ, ხოლო თავად მექსიკელებს ბრაზილიელები დაემარცხებინათ. აცტეკების შთამომავლებმა თავიანთი წილი პირობა შეასრულეს, გაცილებით ძლიერი ბრაზილიელები დააჩოქეს, მაგრამ ვენესუელელებთან წინა მატჩში თავმომკვდარუნებული ემანუელ ჯინობილი იმის ჩიტი არ იყო, დომინიკელებთან წაეგო და ათენური ოლიმპიადიდან ფეხი ამოეკვეთა.

სწორედ ჯინობილი იყო ის კალათბურთელი, დომინიკელებს რომ დასცინა. მანუმ ყველაფერი გააკეთა, რაც კი მოისურვა. 18 წუთით შეიარა მოედანზე და 18 ქულა მიითვალა, თან თავისიანთაგან ყველაზე მეტი მოხსნაც დაუგროვდა. ამით დომინიკელებს აგრძნობინა, გაუგებრობაში მოხვედრილხართო.

ამერიკელებზე კი რაღა უნდა ვთქვათ?! შარშანდელ მარცხიანობას ისე დაუბოლმავს იანკთა ამქარი, მისი შემჩერებელი სან ხუანში კი არა, ათენში თუ გამოიძებნა, უდიდესი სასწაული იქნება. „დრიმ თიმმა“ მასპინძელ პუერტო რიკოს გადაუარა მეორე ტაიმში, მანამდე კი ისე-რა გზნების ბურთაობა ყოფილა.

სენსაცია გამოაცხო ვენესუელამ, მაგრამ სანახევარფინალოდ ამერიკას აცდენილი ანუ უმოტივაციო კანადის დამარცხება დიდ გმირობად ვერაფრით ჩაეთვლება. „ნეკერჩხლის ფოთლებმა“, მაინც პლეი ოფში ვართო, განავარდების საშუალება მისცეს სამხრეთელებს და... წააგეს, მაგრამ რომც მოეგოთ, ნახევარფინალში მაინც არგენტინას შეეხლებოდნენ.

მაშ ასე, დღეს ღამით ამერიკა პუერტო რიკოს მოუგებს, არგენტინა — კანადის მატჩში კი ისეთი ომია მოსალოდნელი, კუნძული პუერტო რიკო ეგებ ჩასაძირადაც გაიწიროს. კვირას ნახევარფინალების მომგებნი სიმბოლურად „ჩემპიონსაც“ გამოავლენენ, წაგებულები კი ათენური ოლიმპიადის დარჩენილი მესამე საგზურისთვის, ეგრეთ წოდებულ მესამე ადგილისთვის მატჩში იბრძოლებენ.

**ირაკლი პერტაია**




REUTERS სან ხუანიდან

ალენ აივერსონი პუერტორიკოელებში დატრიალდა



**მსოფლიოს ჩემპიონატი პარიზი. 23 - 31 აგვისტო**

# ბაბონილა?!

## კელი ვაიტი ჩემპიონობას ჩივის




REUTERS პარიზიდან

**100 და 200 მეტრის** ახალგამომცხვარ კალიფორნიელ ჩემპიონ კელი ვაიტის განარბენილი გზა ტრავმების და მასთან გაუთავებელი წუწუნის გზაა. გასულ წელს მან მარჯვენა ფეხის იმდენად სერიოზული ტრავმა მიიღო, რომ მთელი სეზონი ჩაუვარდა და ერთი ხანი საერთოდ დაკარგული ჰქონდა ძველი ფორმის აღდგენის იმედი. ერთი სიტყვით, მედია კელი ვაიტისგან ნაჩვევია „უფორმობაზე“ წუწუნს და ლამის ქრონიკულ პესიმიზმს. ჰოდა, არც არავისთვის ყოფილა მოულოდნელი ჩემპიონისგან დაღლილობაზე ჩივილი.

200 მეტრზე გამარჯვებამ დიდი ენერგია წაიღო ჩემგანო — ჩიოდა ახალი ჩემპიონი — სიხარულის თავიც კი არა მაქვსო, წავალო, დადავიძინებო და ასე შემდეგ...

არადა, სხვა მის ადგილზე ბედნიერებას, ოცნების აღდგენას და ამგვარ ეიფორიულ ფრაზების კორიანტელს დააყენებდა. კელი ვაიტმა ხომ ისტორიული გამარჯვება მოიპოვა, გახდა პირველი ამერიკელი, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე ორივე პრესტიჟული სპრინტი მოიგო. აქამდე მხოლოდ ორ მორბენალს მიუღწევია ასეთი წარმატებისთვის და ორივე გერმანელი გახლდათ: 1987 წელს სილკე მლადიჩი და ოთხი წლის შემდეგ კატრინ კრამე.

ფინალში, სარბენ ბილიკზე გასვლის წინ კალიფორნიელი შიშს აეტანა. მან თავის მწვრთნელს ისიც კი უთხრა, ენერგიის ნასახი არა მაქვს და როგორ უნდა ვირბინოო.

200 მეტრის ფინალამდე მას შვიდჯერ ჰქონდა ნარბენი — ოთხი 100 მეტრზე და სამიც 200-ზე. ჩემპიონობის შემდეგ თუ მოემატა თავდაჯერება — „სტარტი ძალიან კარგი მქონდა და პირველივე 12-15 ნაბიჯში საკმაო უპირატესობა მოვიპოვე.“

ეს კი ზუსტად თქვა, მართლა უპრობლემოდ მოიგო. თავიდანვე დაწინაურდა, ბოლომდე შეინარჩუნა უპირატესობა და ბარე 2-3 მეტრით ჩამოიტოვა მთავარი მდევრები რუსი ანასტასია კაპაჩინსკაია და ახალგაზრდა პერსპექტიული თანამემამულე ტორი ედვარდსი. ასე რომ, სულ ტყუილად მოთქვამდა ნარბენლევს.

ვაიტი ბუნებითაა წუწუნა, თორემ განა მსოფლიო ოქროების მოყირჭების გამო აკლებს თავს საჩემპიონო სიხარულს. მანამდე მას 2001 წელს ედმონტონში ბრინჯაო მოუგია.

ბოლოს ბარემ ესეც ვთქვათ — ჩემპიონის დედა იამაიკელი მორბენალი იყო, მიუნხენის 1972 წლის ოლიმპიადაზეც ურბენია.

**დიმიტრი ქალანდაძე**

**29 აგვისტო**

**კაცები**

**სიგრძეში ხტომა**

1 დუაიტ ფილიპსი (აშშ) 8.38 მ
2 ჯეიმს ბეკფორდი (აშშ) 8.28 მ
3 იაგო ლამელა (ესპანეთი) 8.22 მ

**200 მ**

1 ჯონ კაპელი (აშშ) 20.30 წმ
2 დერვის პატონი (აშშ) 20.31 წმ
3 შინგო სუეცუგუ (იაპონია) 20.38 წმ

**400 მ წინაღობებით**

1 ფელიქს სანჩესი (დომინიკელთა რესპუბლიკა) 47.25 წმ
2 ჯოი ვუდი (აშშ) 48.18 წმ
3 პერიკლის იაკოვაკისი (საბერძნეთი) 48.24 წმ




REUTERS პარიზიდან

ფელიქს სანჩესმა თავის პატარა სამშობლოს ოქრო აჩუქა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლეიტონ ჰიუიტი

## მეორე წრე

### კაცები

**ანდრე აგასი** (1, აშშ) — ანდრეას ვინსიგერა (შვედეთი) 7:6 (7:1), 6:1, 6:4; **ხუან კარლოს ფერერო** (3, ესპანეთი) — იურგენ მელცერი (ავსტრია) 1:6, 7:6 (7:2), 6:2, 6:4; **გილერმო კორია** (5, არგენტინა) — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 6:2, 6:1, 6:4; **ლეიტონ ჰიუიტი** (6, ავსტრალია) — ჰიუნგ ტაიკ ლი (სამხრეთ კორეა) 5:7, 6:2, 6:2, 6:4; **პარადორნ შრიჩაფანი** (11, ტაილანდი) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:4, 6:4, 6:3; **ფერნანდო გონსალესი** (15, ჩილე) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 7:6 (7:1), 6:1, 6:2; **ტოდ მარტინი** (აშშ) — მარტინ ფერკერკი (16, ჰოლანდია) 6:3, 6:4, 6:7 (5:7), 7:6 (11:9); **რობი ჯინეპრი** (აშშ) — უეინ ფერეირა (23, სამხრეთ აფრიკა) 6:2, 6:4, 6:7 (0:7), 6:2; **კაროლ კუჩერა** (სლოვაკეთი) — მარდი ფიში (24, აშშ) 6:4, 7:6 (9:7), 6:4; **ევგენი კაფელნიკოვი** (28, რუსეთი) — კენეტ კარლსენი (დანია) 4:6, 6:2, 6:3, 6:3; **გრეგორი კარა** (საფრანგეთი) — არნო კლემანი (31, საფრანგეთი) 3:6, 1:6, 6:2, 7:6 (7:3), 6:1; **ხუან იგნასიო ჩელა** (33, არგენტინა) — ტომას ბერდიში (ჩეხეთი) 2:6, 6:1, 6:4, 6:3; **ტეილორ დენტი** (აშშ) — ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) 6:3, 6:4, 7:6 (9:7); **რადეკ სტეპანეკი** (ჩეხეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:2, 6:4, 6:7 (6:8), 6:3

## მესამე წრე

### ქალები

**ჟუსტინ ენენ-არდენი** (2, ბელგია) — სილვია ტალაია (ხორვატია) 6:1, 6:2; **ჯენიფერ კაპრიატი** (6, აშშ) — მარტინა სუხა (სლოვაკეთი) 6:1, 6:1; **ანასტასია მისკინა** (7, რუსეთი) — ანტონელა სერა ძანეტი (იტალია) 6:2, 2:6, 7:6 (7:3); **ელენა დემენტიევა** (11, რუსეთი) — ტატიანა პერებიუნისი (უკრაინა) 5:7, 6:4, 6:0; **აი სუგიამა** (15, იაპონია) — ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი) 1:6, 6:3, 6:3; **ნიკოლ პრატი** (ავსტრალია) — სილვია ფარინა ელია (20, იტალია) 7:6 (7:5), 4:6, 6:1; **მარი პირსი** (საფრანგეთი) — ელენა დოკიჩი (222, სერბეთი) 6:2, 6:7 (5:7), 7:6 (7:5); **ემი ფრეზერი** (აშშ) — ნატალი დეში (23, საფრანგეთი) დეშიმ ვერ ითამაშა; **ფრანჩესკა სკიავონე** (29, იტალია) — არანჩა პარა (ესპანეთი) 6:4, 6:3; **მარია სანჩეს ლორენსო** (ესპანეთი) — მაგი სერნა (30, ესპანეთი) 7:5, 6:1; **საორი ობატა** (იაპონია) — მარი გაიანე-მიქაელიანი (32, შვეიცარია) 7:5, 6:4; **ემილი ლუა** (საფრანგეთი) — მარია შარაპოვა (რუსეთი) 6:3, 6:4; **დინარა საფინა** (რუსეთი) — ლუდმილა ჩერვანოვა (სლოვაკეთი) 6:4, 6:1

# პირსი იმ პოტენციას უბრუნდება

**საფლეშინგმედოუზო** რკინათა პარალელურად მსოფლიოს დედაქალაქი იმ დღეს — და, უფრო სწორად, იმ ღამეს — განთქმული ტელეარხის, MTV-ის სამუსიკო დაჯილდოებათა ცერემონიასაც მასპინძლობდა. ალბათ ამიტომ თუ იყო, რომ შოუბიზნესის წარმომადგენლებთან მომეგობრე ჯენიფერ კაპრიატიმ თავისი შეხვედრა მანამდე მოაყომარა, სანამ კორტზე ყველა პროჟექტორი აინთებოდა.

დიახ, სლოვაკ მარტინა სუხას მან მხოლოდ ორი გეიმი დაუთმო. ნამატჩევს კი საკუთარი გარეგნით ნასიამოვნებას ვერ მალავდა და — ზეპურ ამქარში ;ვარევა, სოლიდური ჩოგბურთის თამაში მომენატრაო — ასე იძახდა.

მომდევნო შეხლას მისი 27 წლის უდრანცულესობა ციდა ფრანგ ემილი ლუასთან გამართავს, რომელმაც — ყველას მაგრად გვეწყინა და — კორტიდან რძემარწყვა რუსი, ჩოგნის ანა კურნიკოვაზე ჩაუქად მქნეველი და მასზე შეუდარებლად სექსმკვნესარი მარია შარაპოვა გვიოტა...

რაც შეეხება ჯენის ნამალევ გამარჯვებას, სხვებზე მეტად ამით კორტზე მის შემდეგ გასასვლელმა ანდრე აგასიმ გაიხარა. ამქრის 33 წლის უსტაბაში მილეთს შავად შემოსილი წარუდგა და მთელი შეხვედრის განმავლობაში მართლაც შავი რაინდივით იკლებდა მეტოქის სანახებს.

მორიგ მატჩში თავისი მეცხრე სლემტიტულის მაძებარი აგასი ამქრის ოდინდელ პირველოსან ევგენი კაფელნიკოვს უნდა ერკინოს.

ის და ორგზის სლემტიტულოსანი სკვითი აქამდე ერთმანეთს 11-ჯერ დაპირისპირებიან და თუკი 1999 წლის მონრეალური მასტერსტურნირის შემდეგ სოჭელი ჯამში 4:2 იგებდა, ახლა უკვე 7:4 აგებს. ოღონდ ისიც სათქმელია, რომ სახელიან მეჩოგნეებს ერთმანეთში 2000 წლის მასტერსთასის შემდეგ ალარ უკეჭნავიათ.

„ჰო, ჩვენ ერთმანეთთან დიდი ხნის მეტოქეობა გვაკავშირებს — ამბობდა იმ დღეს ჯადო ანდრანიკი — ის ნიჭიერი მოთამაშეა და მისი საკარიერო მონაგარი ამის საუცხოო დასტურია. მან იცის, თუ როგორ უნდა დიდი მატჩების მოგება და ამიტომ პირველი გეიმიდან უკანასკნელამდე რთული ბრძოლა იქნება."

## ლეიტონის ჩანაზრებანი

რეიტინგ სიის აგასიმდელ მეკენწეროვე ლეიტონ ჰიუიტს წლეულს მალზედ საშუალო, და ალბათ აქა-იქ საშუალოზე უფრო დაბალი სეზონიც კი აქვს. ამის მიზეზებზე ჩვენ ადრეც გვისაუბრია და ამიტომ აქ სიტყვას ალარ გავაგრძელებთ, იმას კი ნაღდად გეტყვით, რომ მისი ეს საამსეზონო საშუალო-დონეობა იმ დღეს ისე-რა კორეელ ლისთან შეხვედრაშიც გამოჩნდა.

ფეხმარდი ოზიბიჭის წლევანდელი „სლემმაჩვენებლები" ტურნირიდან ტურნირამდე უარესდებოდა. ავსტრალიის ღია პირველობაზე მან მეოთხე წრეს უწია, როლან გაროსზე მესამე წრეში ჩაიფლავა, ხოლო უიმბლდონიდან სულაც პირველი წრიდან გაანუნძულეს. შედეგად — მისი სარეიტინგო რანგი პირველიდან მეექვსემდე დაქვეითდა, მისი „კილერული" ინსტინქტები კი რანგთან ერთად თვითშეფასების დაქვეითებასაც ემსხვერპლა.

და თუკი მან ლის დამარცხება მაინც შედარებით ნაკლები ოფლის საფასურად შეძლო, ეს ისევ კორეელის დაბალი კლასის გამო.

თუმცა თავად ლეიტონი იხტიბარს არ იტეხს — ლისთან ნამატჩევს ის ბევრს და ხალისიანად ლაპარაკობდა:

„პირველი წრეები ყოველთვის ძალიან მძიმეა ხოლმე. მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ მე ვიცი, როგორ უნდა სლემტურნირების მოგება. ცხადია, უიმბლდონი მაგრად ჩავაგდე, მაგრამ ჩემი იმიჯის აღდგენას აქ ვეცდები."

„ისე კი, იცით, რას გეტყვით — ჩემი უმთავრესი პრიორიტეტი ახლა დევისის თასის მოგება უფროა. დიახ, ძალიან ბედნიერი ვიქნები, თუკი წელს ამის გაკეთებას მოვახერხებთ."

შევახსენებთ, რომ დევისთასს გემო მან პირველად 1999-ში გაუგო, თუმც კი თავად მაშინ ორივე ფინალური მატჩი დათმო. მას შემდეგ, ოზები კიდევ ორჯერ გავიდნენ ფინალში და 2000 წელს ესპანელებთან დამარცხდნენ, 2001-ში — ფრანგებთან.

ამ სეზონში ავსტრალიამ ნახევარფინალს უწია და სექტემბერში შვეიცარიას უნდა დაეჯახოს. ამ დაპირისპირების აპოგეა ლეიტონისა და როჯერ ფედერერის დუელი იქნება, დუელი, რომლისთვის რეპეტიციის ჩატარება მათ ეგებ ფლეშინგ მედოუზზეც შეძლონ.

ყოველ შემთხვევაში, ჭაბუკი ოზი დასძენს, რომ მის მიერ დევისის თასის უმთავრეს მიზნად დასახვა სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ნიუ იორკში ალარაფრის იმედი არ ჰქონდეს.

პირუკუ, ის ფიქრობს, რომ ახლა რიგიან ფორმაშია: „შესაძლოა, პიკზე არ ვიყო, მაგრამ კიდევ ერთი-ორი წარმატებულ შეხვედრას ყველაფრის თავდაყირა დაყენება შეუძლია. კიდევ გიმეორებთ, მე თავიდან მიჭირს, თორემ, თუ მეოთხედფინალს და ნახევარფინალს მივაღწიე, უნდა მიფრთხილდნენ — მაშინ უკვე ძალიან სახიფათო ვხდები."

სულ ბოლოს კი მან მარატ საფინზეც ილაპარაკა და მისი წლევანდელი ტრავმიანობის მიზეზად გრაფიკის უკიდურესი გადატვირთულობა დაასახელა — ვერ გაძლო, ჩოგბურთის მამებს ირიბად მაინც რომ არ გადაწვდენოდა.

„ჩოგბურთს სჭირდება მისდარი ბიჭები. ის გამორჩეული პიროვნებაა და იმიტომ. მაგრამ შეხედეთ, რამდენი მატჩის გამართვა მოუხდა მას შარშან... ასეთ მჭიდრო განრიგს ფიზიკური ილაჯიც ბლომად მიაქვს და ფსიქიკურიც. კარგი იქნებოდა, ეიტიპელ ან აიტიფელ *(ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია)* ჩინოვნიკებს უფრო გონივრული და ლმობიერი განრიგი შეემუშავებინათ."

რაც შეეხება საფინს, ვისაც არ ახსოვს, მოვაგონებთ — აშშ-ის 2000 წლის ჩემპიონს ავსტრალიის წლევანდელი ღია პირველობა მაჯის ტრავმის გამო გაუცდა. აპრილში მან კოჭი იტკინა და ვერც მომდევნო სლემტურნირებზე შეძლო თამაში. ზედ აშშ-ის ღია პირველობის წინ კი ის-ის იყო მოკეთებული მაჯა ხელახლა გაიმიზეზა და კვლავ სლემკორტების მიღმა დარჩა.

## სხვაფრივ

საინტერესო და გამოსარჩევი იმ დღეს სხვაც ბევრი მოხდა. ასე, მაგალითად — ორი წლის განმავლობაში ტრავმებით შეურვებულმა 28 წლის მარი პირსმა მისთვის ორი, ავსტრალიური და ფრანგული სლემტიტულების მომნაგვრელი საუკეთესო წლები გაიხსენა და 22-ე ნომრად განთესილი ელენა დოკიჩი მიტყეპა.

წლეულს საოცრად გაფინაჩებული დოკიჩის ძლევა ეგებ ყველაზე საარაკო მიღწევად არც იყოს მისაჩნევი, მაგრამ მწველი მზის ქვეშ წარმატებით გადატანილი ორსაათიანი ბულრაობა კი პირსს დასტურ სანაქებო ამბად უნდა ჩაეთვალოს.

პირსი: „ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს საკუთარ თავს ვუბრუნდები და ისევ ისე ვთამაშობ, ჩემს პოტენციას რომ შეეფერება. ჩემი მიზანიც სწორედ ეგ არის — კორტზე ჩემი ნიჭის მაქსიმუმი გამოვხატო."

ჯერაც ამასვე ცდილობს 33 წლის ამაგდარი ამერიკელი ტოდ მარტინიც, ვინაც — 32 წლის პიტ სამპრასისა და 31 წლის მაიკლ ჩანგის წასვლის შემდეგ უკვე თავადაც წასვლაზე ჩაფიქრებულა.

თუმცა სევდიან ფიქრებს მისთვის ხელი არ შეუშლია, წლევანდელი როლანგაროსობის მოულოდნელი ფინალისტი მარტინ ფერკერკი ძალზედ დაძაბულ ორთაბრძოლაში რომ დაეჩოქებინა.

მშობლიური სლემტურნირის მესამე წრეში თამაშევერცხლილი მარტინი 2000 წლის ანუ მას შემდეგ ალარ გასულიყო, რაც რომ იქ ნახევარფინალამდეც კი გაატანა. სულ კი ის თავის ზედიზედ მე-14 ფლეშინგმედოუზობაზე გამოდის...

სამწუხაროა, რომ ბებერ თვისტომებს იმ დღეს მხარი ვერ აუბა ნიჭიერმა ამერიკელმა ჭაბუკმა მარდი ფიშმა, ვინაც მასპინძელთა ერთ-ერთ საამპირველობო იმედად ერთი კვირის წინ ცინცინატური მასტერსტურნირის ფინალში გასვლის შემდეგ დაისახა. ისე-რა სლოვაკ კუჩერასთან ფიში აურაცხელი უნებლიე შეცდომის გამო დამარცხდა.

ჩაფლავებული პირველი სეტის შემდეგ ბეტონთან დროებით დაკარგული ურთიერთგაგების აღდგენა და მატჩის სადავეთა უკუპყრობა მოუხდა ესპანელ ხუან კარლოს ფერეროს.

ასეთივე სცენარი ჰქონდა ტურნირის 2000 წლის ნახევარფინალისტ რუს ელენა დემენტიევასა და უკრაინელ პერებიუნისის შეხვედრასაც, იმ განსხვავებით, რომ რუსქერას წაგებული სეტის მერე ორის მოგებაც ეყო.

სულ ბოლოს კი 46 წლის მარტინა ნავრატილოვაზეც, რომელიც თავის კაც მეწყვილე ლეანდერ პაესის ავადმყოფების გამო იქ მხოლოდ სვეტლანა კუზნეცოვასთან ერთად წყვილაობს. წლეულს ოთხი საწყვილო ტიტულის მომგებმა ამ ჯუფთმა იმ დღეს ჯილ კრეიბასისა და კონჩიტა მარტინეს გრანადოსის წყვილს 7:5, 6:2 აჯობა.

**ლევან ძელაურაძე**



მარი პირსი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფუცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა სუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან ძელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge